# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, **28** ოქტომბერი, 2009 წელი.

№ 218 (6318)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | **ფასი 50 თეთრი.**




„ნუ ჩაიდენ ბოროტებას და არც შენ გეწევა ბოროტი"

## ოპერაცია „თეა", ანუ გიჟის თავისუფლება ③

## რატომ ვერ მომპარეს ახალთექური ბედაური!



**უკვე დავეწიეთ თუ გავუსწარით კიდევ მეცხრამეტე საუკუნეს?** ②

## ჟურნალისტებს იურიდიული რეაგირების ქარტია სჭირდებათ და არა „ეთიკის ქარტია“ ④

- **სპორტის აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები სამართალს უშედეგოდ ეძებენ** ⑥
- „დემოკრატიის ახალი ტალღით“ წალეკილნი... ②
- ამერიკამ საქართველოს დაუყოვნებლივი პასუხი გასცა ⑧
- **ჰელოუინი – საშიში ზეიმი მოზარდებისთვის** ⑪

## მერაბიშვილის საქმეს გამსახურდია გააგრძელებს? ⑥



## ქრისტიანებო, ბიზნესმენებო!

ტალღა – ლიბერალური, ქმედება – დრაკონული ⑦

## და იგი ისევ გამოიყვანს ქუჩაში ათასობით ადამიანს ⑤



## ღმერთი არ არის?!

**გასაკვირია პირდაპირ: ჩვენს ხელისუფლებას ორმოც წლისაზე უხნესი არავინ და არაფერი არ მოსწონს, ყოველივე კარგი, თანაც პირველად, საქართველოში 2003 წლიდან — ვარდების რევოლუციის შემდეგ დაიწყო თუ მოხდაო, ყოველმხრივ სამაგალითონი ვართ და სამოთხისდარ ქვეყნამდე ცოტაღა გვიკლიაო, ამტკიცებენ, მაგრამ...**

# რატომ ვერ მომპარეს ახალთექური ბედაური!

## უკვე დავეწიეთ თუ გავუსწარით კიდევ მეცხრამეტე საუკუნეს?

**„დედაბერი უცებ შესდგა, თვალები გადაატრიალა, ჰაერში დაწყვეტილივით მკლავები გადაიქნია, ერთი მძლავრად ამოიფშვინა და იატაკზე დაეცა.**

**საკრავის ხმა შეწყდა, მოკიჟინე ქალ-ვაჟთ ულმობელი სურათის წინ ბაგე შეეკრათ...**

**წამის წინ ცამდის აწვდილი ბედნიერთა მხიარულება უკიდურეს მდუმარებით შეიცვალა...**

**— ბები, ბები! მართლა მოკვდი? პურს ვინღა გვაჭმევს! — გაისმა ამ საოცარ სიჩუმეში და ბებიის მოლოდინით გაბეზრებული ორი მშიერი ტიტლიკანა, სიცივისგან გალურჯებული ბალღი შემოვარდა ოთახში და ღრიალით დაეკონა გაციებულ გვამს...**

**წამის წინათ ხარხარით მოლალული საზოგადოება ახლა გულწრფელად ღვრიდა მდუღარებას.**

**— მოწყალება ობლებს! — ვიღაცამ წამოაყრანტალა.**

**გულგალმობიერებულმა საზოგადოებამ ხელი იკრა ჯიბეს და უხვად გასცა მოწყალება.**

**თინას ლოცვა ასრულდა. იმან სამუდამოდ განისვენა და მისმა უკანასკნელმა „შაბაშმა“ მის ობლებს ლუკმა გაუჩინა“.**

ალბათ, ბევრს ეცნო ეს ვრცელი ამონარიდი ეკატერინე გაბაშვილის „თინას ლეკურიდან“.

იგი გუშინწინ საღამოს მოვიძიე, მას შემდეგ, რაც „იმედის“ რვასაათიან „ქრონიკაში“ ერთი დამთრგუნველი სიუჟეტი ვნახე.

გურჯაანის რაიონის სოფელ ვაჩნაძიანს სწვევია „ქრონიკა“.

— ბავშვს ხუთ თეთრს რომ ვერ მისცემ, ესაა ცხოვრება? რომ იძახიან, ბავშვები გააჩინეთო, რისთვის გააჩინონ ბავშვები, ამ გაჭირვებისთვის? — ცრემლებს ვერ იკავებდა ერთი ვაჩნაძიანელი არასრულწლოვნის ბებია, რომელი არასრულწლოვანიც, ძალიან ბევრი თანასოფლელივით, სკოლაში ვერ დადის იმიტომ, რომ ტანსაცმელი არა აქვს, ბევრი თურმე უფეხსაცმლოდაა, ბევრსაც წიგნების საყიდელი ფული არა ჰქონია...

და თუმცა განათლების სამინისტრომ გაამკაცრა გაკვეთილების გამცდენთა მიმართ მოთხოვნები, ვაჩნაძიანში სკოლის გაცდენა საპატიოდ ითვლებაო, — გვაუწყა სიუჟეტის ავტორმა.

ასეთად კი ითვლება თურმე იმ „საპატიო მიზეზების“ გამო, რომლებზეც ზემოთ მოგახსენეთ.



ჰოდა, მართლაც ძალიან დიდი გულისტკივილით, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: **მეცხრამეტესაუკუნელმა თინა ბებომ, თავისი ბოლო ლეკურით რომ უშოვნა პურის ფული ობოლ შვილიშვილებს, აჯობა ოცდამეერთე საუკუნის მკვიდრ ვაჩნაძიანელ ბებოს, შვილიშვილისთვის ხუთი თეთრიც რომ ვერ მიუცია!**

როდესაც წინა ღამით ამის ხილვით გულგასენილმა გუშინ ეს ჩემს ერთ ნაცნობს მოვუყევი, გულს ცოტათი მომეშვება-მეთქი, პასუხად ისეთი რამ მითხრა, კინაღამ დავმუნჯდი: **გუშინწინვე, ვგონებ, „კურიერში“ უნახავს გორის რაიონის სოფელ ქვახვრელის მკვიდრი ცამეტი წლის გოგონა, რომელსაც ჟურნალისტის კითხვაზე, რა გენატრებაო, — საჭმელიო, — უპასუხნია!**

ღმერთო, დიდებულო!

ჩვენი ხელისუფლების მტკიცებით კი თურმე ცოტაღა გვიკლია ლამის სამოთხისდარ ქვეყანაში ცხოვრებამდე!

იმას კი არ ვამტკიცებ და მოვითხოვ, რომ უთუოდ ყველაზე კარგად ვცხოვრობდეთ (თუმცა ისიც ფაქტია, რომ მართლაც ყოველმხრივ ღვთივკურთხეულ საქართველოში, სადაც ხელუკულმა ნასროლი თესლიც კი წალმა ამოდის, ბავშვს არ უნდა შიოდეს!), მაგრამ სწორად მუშაობისა და ხელმძღვანელობის, პრიორიტეტების სწორად განსაზღვრისა და ბიუჯეტში თანხების ამის შესაბამისად გათვალისწინების შემთხვევაში ამჟამინდელზე ბევრად უკეთესი ყოფა რომ უნდა გვქონდეს, ფაქტია.

...ერთი მილიარდი დოლარი ისეთი ქვეყნისთვისაც კი, როგორიც ამერიკაა, საკმაოდ დიდი ფულიაო, — თქვა საქართველოში სტუმრობისას აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა, როდესაც ამერიკის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილ ამ თანხაზე საუბრობდა.

**მერე რა სიკეთე იგრძნო ამ „დიდი ფულის“ მიღებით ვაჩნაძიანელმა უტანსაცმლო მოზარდმა ან მისმა ქვახვრელელმა მშიერმა თანატოლმა?**

ან თუნდაც დანარჩენმა ქართველებმა (მაღალჩინოსნებს არ ვგულისხმობ!)?

მთელი მსოფლიო გვეხმარება 4,5 მილიარდი დოლარითო, — ვტრაბახობთ და გვიხარია.

ეს, ერთი მხრივ, კარგია — უამდახმარებოდ ვერ გავფონავდით, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ დახმარების ნახევარზე მეტი ხომ ვალია, რომელსაც, ყველას კარგად მოგეხსენებათ, გადახდა უნდა?

**ეს გადახდა კი 5-10 წლის შემდეგ უნდა დაიწყოს, როდესაც ამ ხელისუფლების წევრთა გადამწყვეტი უმეტესობა ამჟამინდელ თანამდებობაზე არ იქნება. და, რაც მთავარია, ეს ვალი დღევანდელი უფეხსაცმლო ვაჩნაძიანელის თუ მშიერი ქვახვრელელის გადასახდელი იქნება!**

რამდენად სამართლიანია ეს? შენ ჭამო და მან იხადოს?!

...ადამიანის ხელი ყველაფრის შემქმნელია, მაგრამ მას, ამ ხელს, თავი მართავს.

ჰოდა, ეს თავი, თავიანი მუშაობაა საჭირო და არა თვითკმაყოფილება-თვითდამშვიდება თუ უსაგნო ბაქიბუქი.

მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, საქართველოს სერიოზული დანაკარგი არ განუცდიაო, ამაყობენ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები და ამას, დარწმუნებული ვარ, თავიანთი კარგი მუშაობის შედეგად მიიჩნევენ.

...ახალთექური ბედაური საუკეთესოა მსოფლიოში და მასზე უზარმაზარი მოთხოვნაც არის, მაგრამ იგი ჩემთვის არავის მოუპარავს.

**იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ ეს ბედაური არასოდეს მყოლია!**

— კრიზისის მიუხედავად, ჩვენი ეკონომიკა არ ჩამოიშალაო, — ხშირად და ამაყად ამბობს ხოლმე პრეზიდენტი სააკაშვილი.

**როგორღა ჩამოიშლებოდა ის ეკონომიკა, რომელიც არცა გვქონია და არცა გვაქვს?**

აი, სწორედ ამ ეკონომიკის შექმნა-გაძლიერებაა უპირველესად საჭირო იმ ნასესხები ფულით, და არა მრავალ ასეულმილიონიანი რეზიდენციისა თუ მომღერალ-მოცეკვავე შადრევნების მშენებლობა...

**ფერუმარილი ფუფალას რომ ეცხო, ისეთი უნდა, მაგრამ კოსმეტიკით შენიღბული ეკონომიკა იმ ფასადშეღებილ შენობას ჰგავს, გარედან რომ კარგად გამოიყურება, საძირკველი კი მორყეული აქვს.**

**საქმისადმი ამგვარ მიდგომას კი სწრაფი ნაბიჯებით მივყავართ წინ... მეცხრამეტე საუკუნისკენ, რომლის მკვიდრმა თინა ბებიამ, როგორც მოგახსენეთ, დღევანდელი ვაჩნაძიანელი ბებო დაგვიჩაგრა!**

**რუსლან რუსია**

## „დემოკრატიის ახალი ტალღით“ წალეკილნი...

# ზაზა აზმაიფარაშვილი: ადამიანს ძაღლადაც არ აგდებენ!



**ჭორი დატრიალდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, საოპერო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი და თეატრის მთავარი დირიჟორი — ზაზა აზმაიფარაშვილი თანამდებობიდან გაუშვიათო...**

— ჭორი მართალი გამოდგა, როდესაც კულტურის სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნდა, ხოლო, ორიოდ სამი დღის წინათ, თეატრშიც მოვიდა კულტურის მინისტრის ბრძანება ჩემი განთავისუფლების შესახებ, — გვეუბნება ბატონი **ზაზა აზმაიფარაშვილი.** იგი პირდაპირ გაოგნებულია იმის გამო, რომ წინასწარ არავის არაფერი შეუტყობინებია, — ძაღლადაც არ აგდებენ ადამიანს, — ამბობს ხელოვანი და მიზეზსაც ვერ ასახელებს ამ მოულოდნელი ფაქტის გამო...

ხალხი კი დაბეჯითებით ამბობს, ზაზა აზმაიფარაშვილი ამ რამდენიმე დღის წინათ დიდ საკონცერტო დარბაზში ხელისუფლების მიერ შერისხული პაატა ბურჭულაძის ფონდ „იავნანას“ მიერ გამართული კონცერტის დირიჟორობამ „შეიწირაო“.

ჰაი, ჰაი, რომ ხალხმა ყველაფერი იცის!

# დიმას წყალი შეუყენეს

**წყალი შეუყენეს — თეატრის ხელმძღვანელობიდან ათავისუფლებენ სოხუმის დევნილი სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, ცნობილ მსახიობ დიმა ჯაიანსაც.**

**— თქვენ რაღას გერჩიან?** — ვეკითხები დიმას.

— ვიცი რო?.. უკრაინაში ვიყავი, საოცარი წარმატება ჰქონდა ჩვენს სპექტაკლს — „ზღვა, რომელიც შორია“ და, აეროპორტში, მოლოცვებს რომ ველოდი, ეს არასასიამოვნო ამბავი დამახვედრეს... რატომ კარგი აგიგიაო, ამაზეა ნათქვამი... როგორ იქცევიან, რაღას აღარ მაბრალებენ, რადგან ხელისუფლების დაკრულზე არ ვცეკვავ!..

**— აფხაზეთის უზენაესი საბჭო არ გამოგექომაგათ?..**

— ეეეე... კაი, თუ ძმა ხარ!.. სამაგიეროდ, თეატრი დგას მაგრად... ჩვენ, მთელ კოლექტივს, სამაგალითო ურთიერთდამოკიდებულება და ერთიანობა გვაქვს... სამომავლო გეგმასაც ერთად გადავწყვეტთ...

**— მაინც, რას აპირებთ?**

— ჩვენ მივმართავთ საელჩოებს, რომ წავიდეთ რომელიმე ქვეყანაში, მივიღოთ ორმაგი დევნილის სტატუსი და იქ განვაგრძოთ მოღვაწეობა... აქ გაჩერება აღარ შეიძლება, ჩემო ძმაო!..

**— აბა თქვენ იცით...**



**ვილენ მარდალეიშვილი**

## ბრიფინგი

# კავკასია, იბერია და ქართული ანბანის პირვანდელი სახე

### „ჰელსინკის კავშირის“ აღორძინება და ძველი კონცეფციები

**მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას 1976 წელს დაარსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება „ჰელსინკის კავშირი — ეროვნული აღორძინება“ ერთ-ერთი უხუცესი ორგანიზაციაა საქართველოში.**

მას შემდეგ უამრავმა ქარტეხილმა ჩაიარა, თუმცა თითქმის ყველა პოლიტიკურად მნიშვნელოვან პროცესს სწორედ ეს ორგანიზაცია ედგა სათავეში. „ჰელსინკის კავშირი“ დღესაც ცოცხალია, ხოლო მისი ბრძოლის არსი კვლავაც არ შეცვლილა. კავშირის წევრები თითქმის ისევე ფიქრობენ, როგორც ათეული წლების წინათ: **„ბოლო პერიოდში ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა, საზოგადოების პოლიტიკური ინტრიგებით მეტისმეტად გატაცებამ, პოლიტიკოსების მხრიდან მერკანტილური ინტერესების ასრულების დაუოკებელმა ჟინმა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა ქართული სახელმწიფოებრიობა მოშლა-გაუქმების წინაშე დააყენა.**

**საქართველო და მისი თითოეული მოქალაქე იმყოფება, ერთი მხრივ, ექსტრემისტების ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ, მეორე მხრივ, ფსევდოდემოკრატიის — მოჩვენებითი კეთილდღეობის სამყაროში; და ეს ყველაფერი არსებული გაუსაძლისი რეალობის ფონზე იმდენად ამაზრზენია, რომ პიროვნება გადაჰყავს ან რეაქციულ ან ილუზორულ სამყაროში. ქართული საზოგადოებისთვის ორივე ვითარება დამღუპველია“.**

სწორედ მსგავსი მიდგომის გამო გუშინ „ჰელსინკის კავშირმა“ კინოსახლში პრესკონფერენცია გამართა, სადაც ქვეყნის აღორძინების საკუთარი კონცეფცია წარმოადგინა.

ჩამოთვლილ საკითხთა შორის უპირველესად მოითხოვენ 1991-93 წლების სახელმწიფო გადატრიალების პოლიტიკურ შეფასებას. ამის შემდეგ ფიქრობენ, რომ უნდა აღდგეს ისტორიული სამართლიანობა და ჩამოყალიბდეს მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი ორგანო და ერთობა — კავკასია (კავკასიური სახლი). ის უნდა გახდეს მედიატორი აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ქრისტიანულ და მუსლიმანურ სამყაროს შორის.

იხ. 4 გვ.

## „ნუ ჩაიდენ ბოროტებას და არც შენ გეწევა ბოროტი“

**რა გინდ შეიცხადოს, მე არაფერ შუაში ვარო, კვალი იქითკენ მიდის, რომ ყველაფერში მართლაც სწორედ ის – ხელისუფლებაა დამნაშავე.**

ჯერ ერთი იმიტომ, რომ რაც ქვეყანაში ხდება, კარგი თუ ცუდი, ყველაფერზე და ყველაფრის გამო, ამა თუ იმ ხარისხით, ხელისუფლებაა პასუხისმგებელი.

მეორეც: ვინმე თეა თუთბერიძე თავისთავად ასოცირდება „თავისუფლების ინსტიტუტთან“, „თავისუფლების ინსტიტუტი“ – ნაცმოძრაობასთან, ნაცმოძრაობა – ხელისუფლებასთან. აი ისე, როგორც ოდესღაც ერთ პარტიულ სიმღერაში იყო: „ვამბობთ პარტია და ვგულისხმობთ ლენინი ჩვენი“...

და კიდევ: წინ ოპოზიციის ნოემბრის სავარაუდო გამოსვლებია (სავარაუდო იმიტომ, რომ ოპოზიცია ამ დღიდან დაბეჯითებით გვპირდება ხანგრძლივი მიმიკრიიდან გამოსვლას და ცენტრალური ქუჩების კვლავ აჟრიამულებას).

ბუნებრივია, ხელისუფლებაც შესაბამისად ემზადება. როგორც გასული საუკუნის 1969-1970 წლებში ვ. ი. ულიანოვის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით აშშ სათანადო ინსტანციებიდან ვლადიმერ ილიჩზე წამოსული ანეკდოტების ზღვა ნაკადი გადაჭრეს საბჭოთა კავშირის სათანადო ინსტანციებმა ვასილ ივანიჩ ჩაპაევზე შეთხზული კონტრნაკადით, მომავალი აქციების ტალღას ავლაბრის გუმბათმა „ოპერაცია თეა“ დაუპირისპირა, ყურადღების სხვა საგანზე გადასატანად.

ახლა თუ ამას საზოგადოებაში მყარად ფეხმოდგმულ „ფოლკლორსაც“ დავუმატებთ, რომ ხელისუფლებას კბილის ტკივილად აქვს შემჯდარი საპატრიარქოს, კერძოდ, უწმინდესისა და უნეტარესის უზარმაზარი და შეურყეველი ავტორიტეტი არა მხოლოდ თავის სამწყსოში, არამედ საერთაშორისო მასშტაბით, რაც ასე თვალნათლივია ჩვენი საერო ხელისუფლების პირდაპირ მოჯადოებული უღიმღამობის ფონზე, სურათი ძალზე მკაფიო და არაორაზროვანი გამოვა.

მაგრამ ეს პირქუში და უსიხარულო დასკვნა მაინც დედუქციური განსჯის შედეგია.

დედუქცია, მოგეხსენებათ, აზროვნების მეთოდია – ზოგადი დებულებიდან კერძო დასკვნის გამოყვანაა. ამიტომ, რაკიღა ამჯერად მკაცრად აღნუსხულ მტკიცებულებებს ვერ ვეფუძნებით, ამ საქმეში ხელისუფლების უშუალო ბრალეულობა განზე გადავდოთ.

ოღონდ, ის კი აშკარაა, რომ თუთბერიძის გამოხდომებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წინააღმდეგ წარმართავს კარგად ორგანიზებული ძალა (ჯგუფი), რომელიც ისახავს გამოკვეთილ მიზანს: გახლიჩოს საზოგადოება და დაუპირისპიროს ერის სულიერ მამას. სწორედ ამიტომ ეს ქალი დაბეჯითებით ცდილობს თავი მარტოხელა მგლად წარმოგვიჩინოს: ფეისბუქის გვერდზე ჩემს საქმიანობას არანაირი კავშირი არა აქვს არც ერთ ინსტიტუტთან, მეტადრე ხელისუფლებასთანო, ჩემ მიერ გამოქვეყნებული მასალები ან საჯაროდ გაკეთებული კომენტარები მეკუთვნის მხოლოდ მე და მხოლოდ მე, როგორც კერძო პირსო.

მისი თავხედური და ბანალური ცდები წყლის წვეთის პრინციპს ეფუძნება: განუწყვეტლივ მოწკაპუნე წვეთი ქვას ხვრეტს, არის ადამიანის წამების ოდითგან გამოცდილი მეთოდი – დაბორკილ კაცს თავზე წვეთებს მიუშვებენ; გარკვეული ხნის შემდეგ მსხვერპლი საშინელი ტკივილით იღუპება.

ეს პრინციპი გამოიყენეს თავის დროზე ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ.

დღემდე ხმიანობს ბოლომდე პასუხგაუცემელი კითხვა: ვინ მოკლა დიდი ილია?

ბერზიჭაშვილმა!

დიახ, მან ესროლა ერის მამას.

ოღონდ ის უბირი გლეხი ოდენ შემსრულებელი იყო. მაგრამ ვინ ააღებინა მას ხელში კარაბინი? ფილიპე მახარაძის, პეტრე გელეიშვილის, ვასილ ნაცვლიშვილის და სხვათა სისხლმოწყურებულმა საგაზეთო დივერსიებმა! იმდენი წერეს ილიას გზის მცდარობაზე, მის სისასტიკესა და გლეხების ჩაგვრაზე, ვიღაცეები დააჯერეს კიდეც და ჩახმახის გამომკვრელებიც იოლად იპოვეს. თვით მთავარი დამკვეთები კი ისე მარჯვედ იყვნენ შენიღბულები, ერთი საუკუნეა საქართველო თავს იმტვრევს და საბოლოოდ ვერ დაუდგენია მაინც ვინ გასცა ერის დიდი შვილის მკვლელობის სანქცია.

არ გეჩვენება, მკითხველო, რომ დღესაც, ასი წლის შემდეგაც იგივე პროცესები გორდება ამჯერად ილია მეორის მიმართ?

მოღალატე, რუსეთის აგენტი, დღევანდელი დიადი ხელისუფლების (ხელისუფლის) მტერი და განმქიქებელი... აი ბრალდებები, რომლებმაც, მათი შემთხზველების ვარაუდით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ფეხქვეშ ნიადაგი უნდა გამოაცალოს.




მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ: საზოგადოება, რომელიც აქამდე მორჩილად, უსიტყვოდ ყლაპავდა ზემოდან შემოთავაზებულ მწარე ამბებს, უცებ ყალყზე შედგა.

ის მიხვდა, რომ სულში აფურთხებენ, მეტის მოთმენა აღარ შეიძლება და გადაწყვიტა წინ აღუდგეს ამ მზაკვრობას. საკითხი გასცდა საგაზეთო და სატელევიზიო განხილვის ფარგლებს და უფრო მაღალ რეგისტრში ავიდა: ამ თემაზე განცხადებები გააკეთეს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, საპატრიარქომ, პარლამენტარებმა, პოლიტიკურმა პარტიებმა... დაგმეს „ათეისტების“ ერის საზიანო, მტრული ქმედება.

ქვეყანაში დიდი მითქმა-მოთქმაა. ზოგი მიიჩნევს, აშკარად არასრულფასოვანი ქალის გამო არ ღირსო ამხელა ხმაურის ატეხა.

მაგრამ არ არის ეს სწორი. როგორც სავსებით კანონზომიერად ვივარაუდეთ, ამ ადამიანის უკან დიაღაც ფრიად საშიში ძალაა მოჯარული და თუ პასუხი დროზე და გადაჭრით არ მოეთხოვა, თანდათან უკონტროლო პროცესები შეიძლება განვითარდეს.

იმ დღეს ტელეარხ „კავკასიით“ „თუთბერიძის საქმეზე“ საზოგადოების ნაწილის გამოსვლას ვუსმინე. საინტერესო და სიმპტომური მოვლენის მოწმე გავხდი: პატრიარქის დაცვის პარალელურად „თეას დაცვის“ მოძრაობაც იკრებს ძალას.

იყვნენ იქ „ერის პრესტიჟისთვის აუცილებელი ამ საჭიროების“ გამხმოვანებელი ადამიანები.

განსაკუთრებით ვინმე ფსიქოლოგმა ბატონმა გამოიდო თავი.

თქვენ იცით, რომ ქალბატონ თეას მუქარის წერილებს უგზავნიანო, ურეკავენ და ლანძღავენ, აშინებენო, მისი სულიერი მდგომარეობა შემაშფოთებელიაო, – გულმოკლულმა მრავალგზის ამცნო სტუდიაში შეკრებილთ და ეკრანებს მიციებულ ტელემაყურებლებს.

ჯერ ერთი, როგორც ბიბლიაშია ნათქვამი „ნუ ჩაიდენ ბოროტებას და არც შენ გეწევა ბოროტი (ზირ. 7.1).

მეორეც: „სკოლების დირექტორთა დირექტორს“ სწორედაც უნდა სცოდნოდა რომ დაუსჯელად არ ჩაუვლიდა ერის სიწმინდის ფეხით გათელვა.

დიახ, ეს უნდა სცოდნოდა, მასაც და იმათაც, ახლა რომ ლამის ცრემლმორეული ივედრებიან (მავანი ფსიქოლოგი, ლიტერატორი, გაამერიკებული პროფესორი და სხვ.) გადავარჩინოთ ქალბატონი თეა თუთბერიძეო, დარდით რომ მოკვდეს, ან სულაც რომ მოკლან, ხომ თავი მოგვეჭრებაო.

მისი სიკვდილი არავის არც გვინდა, და არც გვჭირდება! ჩვენ ქრისტიანები და მიმტევებლები ვართ. ამიტომ სიბრაზე რომ გადაგვივლის, ალბათ, მასაც მივუტევებთ, თუ ვნახავთ, რომ ინანიებს შეცდომას.

თორემ რა გამოვა: ჩვენ მივუტევებთ, ის კი ისევ ტალახსა და წუნწუხს შემოგვასხამს.

ამ ეჭვს უსაბუთოდ არ გამოვთქვამ, მისი მონანიების იმედი სწორედ რომ არ მაქვს, რადგან ერთ საგაზეთო „მიმართვაში“ მაინც თათს გვჩრის თვალში, ჩემს პოზიციაზე ვრჩები, ყველა მოქალაქეს აქვს უფლება გამოხატოს თავისი კრიტიკული დამოკიდებულება და პროტესტიო, ეს ლიბერალური დემოკრატიის ფუძემდებლური პრინციპი და ყოველდღიური პრაქტიკააო (უყურე შენ, რაები სცოდნია!); მთავარი შემდეგ მოდის – გვარიგებს, თავიდან აირიდეთ აგრესია და შეუწყნარებლობა განსხვავებული აზრის მიმართ, პატივი ეცით მას, არ გასცდეთ ცივილიზებული კამათის ფარგლებსო. რა მოხდა, რომის პაპზეც კი გამოითქმის კრიტიკა და ამით ქვეყანა არ იქცევაო.

ჯერ ერთი, რომის პაპზე თუ იბეჭდება რამე არასასიამოვნო (ოღონდ არა ასეთი უკუღმართული, ღმერთმა დაიფაროს), გამოხმაურებაც მძაფრია ხოლმე.

რაც შეეხება სხვა რელიგიას: ყველას გვახსოვს, ათწლეულების წინათ რა ამბავიც მოჰყვა წარმოშობით ინდოელი ინგლისურენოვანი მწერლის რუშდის უხერხულ გამოთქმებს ალაჰის მოციქულზე (აიათოლა ჰომეინიმ მას სიკვდილი მიუსაჯა და ეს რუშდი შიშით დღემდე მიწისქვეშეთშია მიმალული); მუსლიმანთა აღშფოთების გრიგალი ამოვარდა ამას წინათ ბელგიურ თუ დანიურ გაზეთში მუჰამედზე კარიკატურების გამოქვეყნების გამო.

ასე რომ სულ ტყუილია, არც ერთი კონფესია არ ეგუება თავისი სიწმინდეების განქიქებას და ვითომ ჩვენ რატომ უნდა ვიყოთ გამონაკლისები?

ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ამ ქალბატონ თეას ხვალ რომ ნერვიული აშლილობით სლოკინი აუტყდეს, მთელ ერს ანათემას გადასცემენ მავანი ფსიქოლოგები, ლიტერატორები და გაამერიკელებული პროფესორები? მისი ცოდვა ისევ ჩვენ უნდა ვზღოთ?

აქვე ახირებულად „ქალბატონის“ ძახილზე უნდა ვთქვა ერთი სიტყვა.

დრო იყო, „ბატონოთი“ და „ქალბატონოთი“ მიმართვა მთლად აკრძალული არა, მაგრამ ერთობ საჩოთიროდ იყო მიჩნეული. მერე, როცა კომუნისტური ქერქი მოვიცილეთ, „ბატონო“ და „ქალბატონო“ პირდაპირ ენაზე აგვეცრა. უჩვენებენ 15 წელმისჯილ პატიმარ ქალს, რომელმაც ქმარი მოკლა, ქალიშვილი თურქეთში გაყიდა, ვაჟი კი ნარკობიზნესში ჩააბა და მხარზე ენაგადაკიდებული დიქტორი წამდაუწუმ „დახვეწილი ქართულით“ გვეკოპწიავება: „ქალბატონი ანჟელა“, „ქალბატონ ანჟელას“, „ქალბატონმა ანჟელამ“ (იმისი არ იყოს, სილამაზის კონკურსის მონაწილე16-20 წლის ტიტლიკანა გოგონებს დიდი ამბით, „მანდილოსნებიო“ რომ უწოდებენ. ბიკინოსნები კიდევ ჰო, მაგრამ მანდილოსნები?).

ვითომ ქალბატონოთი მისამართია თეა თუთბერიძე? იმ შეხვედრის მონაწილეებმა სხვა, სწორი ფორმაც გამოძებნეს – სუბიექტი! თუმცა შეხვედრის მონაწილე ზემოაღნიშნული გაამერიკელებული პროფესორი დიდად უკმაყოფილო დარჩა, როგორ შეიძლება ასეთი დამამცირებელი მიმართვაო. ის კი არ განუმარტავს, თუ შეიძლება საქართველოს მწყემსმთავარს, სანთელივით კაცს, „აგენტი“ და „მოღალატე“ უძახონ და ამოციებული თვალებით, რომლებშიც აზრის ნატამალი არ იკითხება, ერთხელაც არ დაახამხამონ...

დემოკრატიულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ და აზრის გამოთქმის უფლება ყველას აქვსო, თეამა.

აქვს, ოღონდ აზრს გააჩნია.

თუ ეს აზრი ანტიეროვნულია, ანტიხალხურია, მტრულია, სპეციალურად არის შემოგდებული, მის გავრცელებაში ნამდვილად უნდა შევუშალოთ ხელი ნებისმიერ სუბიექტს, ქალბატონსა და ბატონს...

ალბათ, ამით დავამთავრებდი, მაგრამ არ შემიძლია ორი სიტყვა გაზეთ „24 საათში“ დაბეჭდილ ერთ წერილზე არ ვთქვა (23 ოქტომბერი. თამარ ხორბალაძე – „განკიცხული“).

ავტორი დასაწყისშივე ამბობს, „თუთბერიძის დასაგმობად რიგში ჩამდგარი ჟურნალისტები“ (?), „საერთო-სატელევიზიო კამპანიური თავდასხმა“(?), რაც მთავარია, სამოქალაქო, ე. წ. ლიბერალური საზოგადოების დუმილი მაფიქრებინებს, რომ უთქმელობა არამც და არამც არ ეგებისო.

იხ. 4 გვ.

„ნუ ჩაიდენ ბოროტებას და არც შენ გეწევა ბოროტი“

# ოპერაცია „თეა“, ანუ გიჟის თავისუფლება

(მესამე გვერდიდან)

და ამ ლიბერალური საზოგადოების სირცხვილისგან გადამრჩენი ასეთი წიაღსვლით იწყებს: ყველაფერი ეს შეუმჩნევლად ჩაივლიდა, „ვიღაცას“ (ბრჭყალები თ. ხორბალაძისეულია) ამ მოვლენის სახელმწიფო რანგში აყვანა და რევანშისტული მიზნებისთვის გამოყენება რომ არ მოსდომებოდაო.

ამრიგად, ყველაფერი გაშიფრულია: მტერი, მართალია, ბოლომდე მიკვლეული არ არის, მაგრამ მინიშნებულია „ვიღაც“, ვინც „რევანშისტული მიზნებისთვის“ იყენებს თუთბერიძის უმანკო ხუმრობებს.

შემდეგ „ლიბერალური“ აზრის ფილოსოფიური განშლა მოდის: საზოგადოებაში, სადაც ადამიანის ინდივიდუალიზმს და სიტყვის თავისუფლებას არანაირ პატივს არ სცემენ, გაცილებით ადვილია ირწმუნო შეთქმულების თეორია(?), ვიდრე ის, რომ ადამიანმა საკუთარი, პერსონალური დამოკიდებულების გამოხატვა მის მიერვე არჩეული, ბევრისთვის მიუღებელი, მაგრამ მისთვის საინტერესო მეთოდით სცადა.

გაიგე რამე, ძვირფასო მკითხველო? ვერც მე. ერთი კია, როგორც სავარაუდოა, ეს საჯაყი საქმე იმიტომ დაგვმართნია, რომ პატივცემული ავტორივით დემოკრატიის ფუძემდებლურ პრინციპებამდე ვერ ავმაღლდით.

საჭირო ადგილზე ავტორი ნართაულად ჩაურთავს, ჯერ კიდევ საკითხავია, ვინ მოახდინა პროვოცირება – თეა თუთბერიძემ თუ მისმა მგმობელებმაო.

როგორც ვხედავთ, ქალბატონი თამარ ხორბალაძე აღშფოთებულ საზოგადოებას აქეთ სდებს ბრალს. ის კი არა, საპატრიარქოსაც უსაყვედურებს, მეგონა ის (საპატრიარქო) აგრესიულ მართლმადიდებლებს (?) თავშეკავებისა და თუნდაც თეას სულისთვის ლოცვას მოუწოდებდა, მან კი ამის ნაცვლად სატელევიზიო ეთერი მოითხოვა, რითაც, პრაქტი-



კულად თუთბერიძის „მოკვეთა“, მის მიმართ გამოთქმული მუქარები და ამ საკითხის პოლიტიკურ რანგში აყვანის მცდელობა გაამართლაო.

ერთი სიტყვით, თ. ხორბალაძე საზოგადოებას და ეკლესიას „ინკვიზიციის აღდგენის მცდელობაში“ ადანაშაულებს. ოღონდ იმას ვერ აკონკრეტებს, რით გამოიხატა „ინკვიზიციის აღდგენის ცდა“, იმით ხომ არა, რომ მის მიერ ხშირად ნახსენები „სამოქალაქო საზოგადოება“, ანუ თუთბერიძის მიერ ყურების დაჭრით დაშინებული „ინკვიზიცია“ სულით ხორცამდე შეძრა პატრიარქის შესახებ უხამსმა და შეურაცხმყოფელმა კლიპებმა?

თუ თეა თუთბერიძეს აქვს, თუ თამარ ხორბალაძეს აქვს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება „აბსოლუტურად ყველა საკითხზე, რაზეც კი შეიძლება საერთოდ აზრის არსებობა“, ამ შეურაცხყოფილ საზოგადოებას არა აქვს? რატომ გადაუსვა ხაზი თამარმა თავის ერთობ სწორ დასკვნას თუთბერიძის მიმართ, რომ „პასუხისმგებლობისა და შესაბამისი შეზღუდვების გარეშე ადამიანის თავისუფლება გიჟის თავისუფლებას დაემსგავსება?“

თ. ხორბალაძის წერილს ალბათ ამდენ ყურადღებას არ დავუთმობდი, რომ არა ერთი გარემოება: ეს წერილი, რომელიც ვითომ ჭეშმარიტების დაცვას ისახავს მიზნად, გაჯერებულია ერთადერთი მიზნით – სამზეოზე გამოიტანოს ჩვენი „აგრესიული მართლმადიდებელი საზოგადოების“ სიმდაბლე, სიდამპლე, სიმხდალე, სისასტიკე, სირეგვნე და ცალტვინობა (ეს უსიამოვნო ეპითეტები უნასებივით ჰყოფენ თავს წერილის შინაარსიდან და პათოსიდან)...

ადამიანს ყველანაირი აზრის გამოთქმის უფლება აქვსო.

ჭეშმარიტად!

ჰოდა, ჩვენც, ზემოხსენებული ეპითეტების ადრესატებსაც, გვაქვს უფლება – ძარღვიანი სიტყვებით გამოვთქვათ ჩვენი აზრი როგორც ვინმე თეა თუთბერიძეზე, ისე მის ადვოკატ თამარ ხორბალაძეზეც, თუმცა, მათგან განსხვავებით, ამას არ ვიქმთ, ანუ უფრო მეტად გვაქვს განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობა – არ ვთქვათ ის, რის თქმაც უბრალოდ ჩვენვე ჩაგვაყენებდა უხერხულ მდგომარეობაში...

**ალეკო ასლანიშვილი**

ბრიფინგი

# კავკასია, იბერია და ქართული ანბანის პირვანდელი სახე

## „ჰელსინკის კავშირის“ აღორძინება და ძველი კონცეფციები

(მეორე გვერდიდან)

შეხვედრაზე საკუთარი შეხედულებები წარმოადგინეს „ჰელსინკის კავშირის“ თავმჯდომარემ **ფირუზ დიაკონიძემ,** მოადგილემ **ნუკრი ბაღდავაძემ,** წევრებმა: **თორნიკე ამაშუკელმა, თემურ დანელიამ, ლალი ბარძიმაშვილმა.**

ჰელსინკის კავშირის კონცეფციაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სამართლებრივი საფუძვლის განხილვას და ამასთანავე მიზანშეწონილად მიაჩნიათ, რომ საქართველოს დაუბრუნდეს ისტორიული სახელი – იბერია, მოქალაქეებს კი – იბერიელები. ქართულ ანბანს დაუბრუნდეს პირვანდელი სახე – აღდგეს ხუთი დაწუნებული ასო.

„ჰელსინკის კავშირის“ წევრები უნდობლად არიან განწყობილი როგორც ხელისუფლების, ისე „ფსევდოოპოზიციის“ მიმართ, ამიტომ მათ უზენაესი საბჭოს წევრებს გაერთიანებისკენ მოუწოდეს, რათა აღდგეს ეროვნული მოძრაობა. ისინი საკუთარი კონცეფციის საჯარო და ღია განხილვას მოითხოვენ, „ჩვენი დასაყრდენი ხალხია“ – ამბობს ორგანიზაციის თავმჯდომარე ფირუზ დიაკონიძე, თუმცა მათი იდეური მხარდამჭერი ჯერჯერობით მხოლოდ ერთადერთი მერაბ კოსტავას საზოგადოებაა. ვერ ვიტყვით, რომ ამ საზოგადოების წარმომადგენელი **გია ჩხიკვაძე** მაინცდამაინც ოპტიმისტურად იყოს განწყობილი ამ კონცეფციისადმი, რადგან მისი თქმით, **„ჩვენ უკანონო ხელისუფლება გვყავს. ამიტომ ნებისმიერ საკითხზე მსჯელობა აბსურდულია. ფსევდოოპოზიცია კი დამარცხებისთვის არის განწირული“.**

„ჰელსინკის კავშირი“ პარლამენტში ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების შემსწავლელ კომისიასაც გამოეხმაურა და უნდობლობა გამოუცხადა, თუმცა, კრიტიკული არაფერი დასცდენიათ კოკო გამსახურდიაზე, რომელიც ამ კომისიის ხათრით შევიდა პარლამენტში. **„კომისია სიმართლეს ვერ დაადგენს, ვინაიდან ჯერ პრეზიდენტის გარდაცვალების შესახებ იურიდიული დოკუმენტი არ არსებობს. ეს უფრო პიარკამპანიაა“ – ამტკიცებენ „ჰელსინკის კავშირის“ წევრები.**

მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ ზვიადის მხარდამჭერებს ისევ არ სჯერათ პრეზიდენტის გარდაცვალების. ალბათ, კომისია ამასაც გზადაგზა დაადგენს, თუმცა მნიშვნელობა არა აქვს პრეზიდენტი გარდაიცვალა თუ არა, მთავარია, რომ მისი იდეები ისევ ცოცხლობს. ხოლო სანამ მისი თანამებრძოლები და მხარდამჭერები იცოცხლებენ, მუდმივად კრიტიკის ქარცეცხლში დაიხრუკება არსებული ხელისუფლება, როგორც თვითმარქვია და უკანონო...

**ნია ფიფია**

„SOS“

# ორფეხა მტაცებლები ზოოპარკის ბინადრებს „ციმბირში“ გადასახლებას უპირებენ!

**„SOS“ – ორფეხა მტაცებლები ზოოპარკის ბინადრებს „ციმბირში“ გადასახლებას უპირებენ“ – ეს სიტყვები გასდევდა ლაიტმოტივად ლეიბორისტული პარტიის ბრიფინგს, რომელიც ზოოპარკის წინ გაიმართა, სადაც კახა ძაგანიამ და პაატა ჯიბლაძემ ზოოპარკის თბილისის ზღვაზე გადატანის იდეა გააპროტესტეს.**

კახა ძაგანიას განცხადებით, ზოოპარკის ტერიტორიების ხელში ჩაგდება გიგი უგულავას სურს, ხოლო ამ ადგილას უგულავას მიერ აშენებული კორპუსები და გასართობი ცენტრები დაიკავებს: „უგულავას დანაშაულთა კასკადს კიდევ ერთი დანაშაული შეემატა, მან ვერ გაუძლო ფულის სიყვარულს და სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ზოოპარკის ბინადრები „ციმბირში“ გადაასახლოს.

პაატა ჯიბლაძის თქმით კი, ზოოპარკის დღევანდელი ადგილმდებარეობა ათეული წლის წინათ განსაზღვრეს, ეს ადგილი იდეალური და ჯანსაღია. თბილისის ზღვაზე, როგორც მოგეხსენებათ კლიმატი ცივი და ქარიანია, ამიტომ ეს ადგილი ზოოპარკისთვის შეუფერებელია. „მივმართავ პირადად მიხეილ სააკაშვილს შეცვალოს დაუყოვნებლივ ეს გადაწყვეტილება“ – დასძინა პაატა ჯიბლაძემ.

**მერი ქურასბედიანი**

განსჯა

# ჟურნალისტებს იურიდიული რეაგირების

**ევროკავშირის დაფინანსებითა და ევროსაბჭოს ეგიდით ჟურნალისტებისათვის გამართულ სემინარზე, მათი უფლებებისათვის ზრუნვით დამაშვრალ ორგანიზატორებს, სასტუმრო „ვარაზში“ საზეიმოდ მიუღიათ „ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“.**

ექსპერტების ჯგუფის წარმომადგენლის, ექსპერტ თამარ გურჩიანის თქმით, „ეს არის პირველი რეალური პროცესი საქართველოში, რომელიც მედიის თვითრეგულირების მექანიზმის შექმნას ითვალისწინებს... აუცილებელია ისეთი დოკუმენტი მივიღოთ, რომელიც მიახლოებული იქნება ევროპულ ვარიანტთან და მაქსიმალურად დაიცავს ჟურნალისტებისა და აუდიტორიის უფლებებს“.

„სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის“ წარმომადგენელი ია ანთაძე უფრო რეალისტური ტერმინებით განმარტავს ხსენებული „ქარტიის“ მიზან-დანიშნულებას: „ქარტიის მიღება აუცილებელია, რათა ამაღლდეს ქართველი ჟურნალისტების პროფესიული უნარ-ჩვევები. ჩვენ ჯერ მხოლოდ დოკუმენტების შავ ვარიანტს განვიხილავთ, თუმცა მუშაობის პროცესში გაჩნდა იდეა, რომ არა მარტო ქარტია, არამედ ორგანიზაციაც შეგვექმნა, რომელიც ამ ქარტიის მუშაობას გააკონტროლებდა“.

სიტყვა „კონტროლს“ მეტი სინათლე შეაქვს „ჟურნალისტური ეთიკის“ გაგების სა-



კითხში. „უფლებების დაცვა“ სადღაც დრუბლებში დააქროლებს მის შინაარსს. ბუნდოვანია სიტყვათშეხამება „თვითრეგულირების მექანიზმის შექმნაც“: თვითრეგულირებას მექანიზმის შექმნა რად უნდა, ის მექანიკურად თავისთავადაც რეგულირებს! მექანიზმი უნდა ზემოდან რეგულირებას! ამ მხრივ, ცენზურისაგან განთავისუფლებულ ჟურნალისტებს, რა დასამალია და, დარეგულირება მოუხდებათ! რაც შეეხება მათ დაცვას, ეს უბრალოდ ღია კარის მტვრევაა, რადგან თავისუფალს რაღა დაცვა უნდა?! თავისუფალი ჟურნალისტები თვითონ იცავენ საკუთარსაც და „აუდიტორიის“ უფლებებსაც! აი, „რუსთავი-2“-სა და ე..წ. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტებს კი მართლაც სჭირდებათ დაცვა, რადგან ოპოზიციის ლიდერები, განსაკუთრებით ბ-ნები ლევან გაჩეჩილაძე და გოგა ხაინდრავა, მათ საერთოდ ჟურნალისტებად არ თვლიან. მაგრამ მათი დაცვა პირადად პრეზიდენტმა ითავა: „მე დავიცავ ყველა ჟურნალისტსო“. ყველაში მან, ცხადია, „რუსთავი-2“-ისა და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტები იგულისხმა, რადგან თავისუფლებს, გარდა იმისა, რომ ბ-ნი ლევანი და ბ-ნი გოგა ჯერჯერობით არ ერჩიან და, მაშასადამე, არც დაცვას საჭიროებენ, ბ-ნი მიხეილი საერთოდ ჟურნალისტებად არ თვლის. ჰოდა, პრეზიდენტის მიერ „დაცულ“ ჟურნალისტებს ქ-ნი თამარის, ქ-ნი იას, ან ევროკავშირ-ევროსაბჭოს დასაცავი რა სჭირთ?!

რაც შეეხება იმას, რომ ბ-ნი მიხეილი თავისუფალ ჟურნალისტებს ჟურნალისტებად არ თვლის, ამაში ვერც გაამტყუნებ: ისინი რომ ჩათვალოს, თავის თავი აღარ უნდა ჩათვალოს პრეზიდენტად, რადგან ისინი მას არ თვლიან პრეზიდენტად: აქაოდა, „არჩევნები გააყალბაო“! გია მაისაშვილმა ჩათვალა, სოზარ სუბარმაც ჩათვალა, გიორგი თარგამაძემ და გია თორთლაძემ – ჰო და ჰო! ეს ჟურნალისტები რაღა გახდნენ?! პრეზიდენტიც გაბრაზდა და – „გაზეთებს არ ვკითხულობო“. არა, როგორ არ კითხულობს?! რომ არ კითხულობდეს, ასე ხომ არ გაბრაზდებოდა?! რედაქციებს „სამშობლოდან“ გამოყრიდა?! ან იმას საიდან გაიგებდა ბ-ნმა (თუმცა რაღა ბატონი, კაცი პატიმარია!ძ მალხაზ გველუკაშვილმა „ასავალ-დასავალისათვის“ მიცემულ ბოლო ინტერვიუში რომ თქვა, „აღშფოთებული ხალხი ავლაბრის რეზიდენციიდან სააკაშვილის თავს ცალკე გამოიტანს, ხელს ცალკე და ფეხს ცალკეო“! მაგის გამო არ დაიჭირა?! რა იარაღი, რის იარაღი?! ერთი აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას უპოვეს იარაღი და მეორე ფიზიკოს მალხაზ გველუკაშვილს!

არა, კითხულობს! ნუ წაიკითხავს, თუ არ უნდა! ხალხი ხომ კითხულობს! ჰოდა, პრეზიდენტისა აღარ სჯერა, ჟურნალისტებისა სჯერა! ჟურნალისტებს კიდევ ყველას ციხეში ხომ ვერ ჩაამწყვდევ?! ბ-ნები (პატიმრებიძ ვახანია და გველუკაშვილი ერთეულებია, ესენი მთელი არმიაა. ზოროსავით მოუხელთებელნი არიან: ერთს დაიჭერ, მეორე აგრძელებს წერას. ამიტომ იძულებულია, ჟურნალისტებთან რაღაც ხერხი იხმაროს, „ეთიკურად“ მიუდგეს!

ამ გაგებით, ქ-ნი იას „კონტროლი“ უფრო ქმედითი ჩანს. ოღონდ, არა პრეზიდენტის მიერ „დაცული“ ჟურნალისტების მიმართ, რადგან დამცველის მხრივ მათ კონტროლი არ აკლიათ; არამედ უკონტრო-

განათლება

# და იგი ისევ გამოიყვანს ქუჩაში ათასობით ადამიანს

## გადაწყვეტილება მიღებულია

**გოკა გაბაშვილს, პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავჯდომარეს, თავისივე კომიტეტის წევრების აზრი არ უკითხავს, მაგიდაზე ჩაქუჩი არ დაუკრავს, ისე დაამთავრა სხდომა და ტრიბუნა სასწრაფოდ დატოვა.**

თუმცა, შორს წასვლა ვერ მოასწრო — უშედეგო დებატები მისივე იძულებითი მონაწილეობით ახლა პარლამენტის დერეფანში გაგრძელდა.

არადა, სადავო თითქოს ბევრი არაფერი უნდა ყოფილიყო — სხდომაზე მიწვეული საქართველოს მეცნიერთა და პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირის წარმომადგენლობა განათლების სისტემაში მოქმედი ნორმატიული აქტების კანონის რანგში აყვანის აუცილებლობას ასაბუთებდა.

იყო სხვა მოთხოვნებიც. მაგალითად, ასეთი: მასწავლებლის ეთიკის კოდექსი (თუ იგი ასე აუცილებელია), შეიმუშაოს პროფკავშირმა უშუალოდ მასწავლებელთა მონაწილეობით; „ზოგადი განათლების შესახებ" კანონში შევიდეს ცვლილებები, რაც უზრუნველყოფს მასწავლებლის უფლებებს და თავისუფლებებს, გაამარტივებს ურთიერთობებს სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის; ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ნორმალიზაციას და მასწავლებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას, შრომის ანაზღაურებისა და საპენსიო სისტემების მოწესრიგებას, შრომითი დავების პროცედურის დახვეწას და ასე შემდეგ.

მართალია, ამ საკითხების უმრავლესობას არეგულირებს განათლების და მეცნიერების მინისტრის გამოცემული ბრძანებები, მაგრამ ვინაიდან კანონი იერარქიულად ბრძანებებზე მაღლა დგას, დავების განხილვისას ობიექტური გადაწყვეტილების მიღება ძალიან ჭირს. მოკლედ, პროფკავშირი ითხოვდა „ზოგადი განათლების შესახებ" კანონსა და ნორმატიულ აქტებს შორის არსებული კოლიზიების აღმოფხვრას. მანვე, როგორც წესია, შეიმუშავა პროექტი კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და განსახილველად პარლამენტის განათლების და მეცნიერების კომიტეტს წარუდგინა.

იმედია, არ გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვი, რომ ამ მართლაც საქმიანი წინადადებების საპარლამენტო ტრიბუნამდე მიტანას სპეციალისტთა ჯგუფის ინტელექტუალური ძალისხმევის გარდა, დაჭირდა ქუჩის აქციები, პროტესტები, ნერვების წყვეტა, ერთი წელიწადი და მომხრეთა ასი ათასამდე ხელმოწერის შეგროვება!

გთხოვთ, კიდევ ერთხელ ყურადღება მიაქციოთ, რომ საუბარია არა რაიმე პრინციპულ პოლიტიკურ ან სოციალურ მოთხოვნებზე, არამედ კანონში ყოვლად უმტკივნეულო და სასარგებლო ცვლილება-დამატებების შეტანაზე. იმ ცვლილებებისა, რაც მოხსნიდა, კანონის ნაკლოვანების გამო განათლების სისტემაში ნებსით თუ უნებლიედ შექმნილ დაძაბულობას.



ამის საწინააღმდეგო, თითქოს, ჩვენს იაკობინურ კონვენტსაც (პარლამენტს) კი არაფერი უნდა ჰქონოდა, მაგრამ მაინც გაბაშვილის კომიტეტმა კანონპროექტის შემდგომ განხილვაზე „ერთხმად" უარი განაცხადა. ძალიან საწყენია, რომ ეს გაკეთდა ფარისევლური ცინიზმით, მაგრამ მთავარი მაინც შინაარსია.

თავს უფლებას მივცემ, სწორედ ამ არცთუ კარგად შენიღბული შინაარსის თაობაზე ვთქვა ორიოდე სიტყვა.

### უზნეო ეთიკოსები

**ბოლო დროს ბევრი ლაპარაკია პროფესიული ეთიკის კოდექსების აუცილებლობაზე. საბოლოოდ, ამ „კოდექსების" რაოდენობა ორამდე დადის — ჟურნალისტებისა და მასწავლებლებისათვის. თანაც, ქართველ ნაციონალ- იაკობინელთა აკვიატებული აზრით, იგი აუცილებლად თავისუფლების ინსტიტუტმა ან რომელიმე სხვა სახელმწიფო—ბიუროკრატიულმა აპარატმა უნდა შეთხზას.**

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს აკვიატება ეთიკის, როგორც მეცნიერების ელემენტალური გაუგებრობიდან ან, უკეთეს შემთხვევაში, უსაფუძვლო აპარატული ამბიციებიდან მომდინარეობს. ალბათ, ერთიც არის და მეორეც, მაგრამ მთავარი სხვა რამეა: განათლება და ჟურნალისტიკა არის ადამიანთა მოღვაწეობის ის სფეროები, რომელთა ბოლომდე პოლიტიზება, სხვა სიტყვებით, ბოლომდე გარყვნა, საქართველოს რევოლუციურმა ხელისუფლებამ ჯერჯერობით ვერ მოახერხა. არადა, ეს ჰაერივით სჭირდება ძალაუფლების სრული უზურპაციისკენ მიმავალ ყველა ხელისუფლებას.

ამ მიზანს ემსახურებოდა ქართული ელექტრონული მედიის სრული მონოპოლიზაცია; არაფრის მთქმელი და არაფრის მაქნისი ყვითელი ჟურნალ-გაზეთების გაფეტიშება; ჟურნალისტების დაშინება, მოსყიდვა და მათი ჩინოვნიკური თანამდებობებით გარყვნა; გამომცემლობა „სამშობლოს" ცინიკური განადგურება; ტრადიციული და ავტორიტეტული უნივერსიტეტების დარბევა; საჯარო სკოლებში მძლავრი ნაციონალური „დესანტის" შეგზავნა; სკოლების დირექტორთა ასოციაციის შექმნა (ოდიოზური თეა თუთბერიძის „ხელმძღვანელობით"); მასწავლებლების პოლიციასთან თანამშრომლობის მოთხოვნა; პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირის წინააღმდეგ აშკარა და პროვოკაციული ლაშქრობის წამოწყება; მასწავლებლობისთვის სამარცხვინოდ მწირი და შეურაცხმყოფელი სახელფასო ფონდის განსაზღვრა, მათი უფლებების შეზღუდვა და მრავალი სხვა.

და მაინც, ყველაფერი ეს უკმარი აღმოჩნდა საზოგადოების ინტელექტუალური ელიტის ნაციონალური იდეოლოგიის სამსახურში ჩასაყენებლად. თუთბერიძე-რამიშვილის შეთხზული სავალდებულო „ეთიკა" იქნებოდა კიდევ ერთი ნაბიჯი მასწავლებელთა ინტელექტუალური ურჩობის დასათრგუნავად.

ამიტომ მოითხოვს პროფკავშირი მასწავლებელთა ეთიკის კოდექსის მასწავლებელთა მონაწილეობით შექმნას ან, კიდევ უკეთესი — მასზე, საერთოდ, უარის თქმას. ამიტომ ცდილობს ხელისუფლება ჯიუტად თავისის გატანას — მასწავლებლობისთვის „ეთიკის" ალიკაპის ამოღებას.

### ფარსი

**სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: 2009 წლის 15 ოქტომბერს გამართული საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის სხდომა, რომელიც „ზოგადი განათლების შესახებ" კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას მიეძღვნა, იყო უნიჭო რეჟისორის უნიჭოდ დადგმული სპექტაკლი.**

რეჟისორ-თავჯდომარე გოკა გაბაშვილმა წინასწარ იცოდა, რომ კანონპროექტის განხილვაზე მისი ავტორებისთვის უსიკვდილოდ უარი უნდა ეთქვა. იმიტომ კი არა, რომ იგი ცუდად, ან ისე კარგად იყო მომზადებული, რომ საფრთხეს შეუქმნიდა ნაცების რეჟიმს. უარი უნდა ეთქვა იმიტომ, რომ არ შეიძლება დათმობა, ნებისმიერი საზოგადოებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილება! არ შეიძლება ისეთი პრეცედენტის შექმნა, რაც ოდნავ მაინც მიანიშნებს რევოლუციური ხელისუფლების სისუსტეზე ან მერყეობაზე; არ შეიძლება სააკაშვილის კუთვნილ საკანონმდებლო ორგანოში „გარედან" რაიმენაირი ჩარევა!

ასეთია ტოტალიტარიზმის გზაზე შემდგარი რეჟიმის ბუნება.

ამავე დროს ხელისუფლებამ, თუნდაც „მეგობარი" ქვეყნების თვალის ასახვევად, უნდა ითამაშოს დემოკრატობანა. და თამაშობს კიდეც — უნიჭოდ, მაგრამ მაინც თამაშობს: მართალია, თითქმის ერთწლიანი დავიდარაბის შემდეგ, მაგრამ თანხმდება კანონპროექტის განხილვაზე; იცავს (ბოლომდე არა!) რეგლამენტით გათვალისწინებულ წესებს; იძლევა სხდომაზე დაინტერესებული საზოგადოების დასწრების და აზრის გამოთქმის საშუალებას...

როგორც ვთქვი, ამ კანონპროექტის მიღება, მისი ავკარგიანობის მიუხედავად, ხელისუფლებას არავითარ პრობლემას არ შეუქმნიდა. სამაგიეროდ, შეუქმნის მისი ხელაღებით უარყოფა. ეს ნიშნავს, რომ „გოკა და კამპანია", სავარაუდოდ, პრეზიდენტთან წინასწარი შეთანხმებით, ხელოვნურად ქმნის უკმაყოფილების ახალ მძაფრ კერას — ეს არის საზღაური ძალაუფლების შენარჩუნების სანაცვლოდ.

დარწმუნებული ვარ და თქვენც დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ქართველი მასწავლებლობა ამდენ დაცინვას და შეურაცხყოფას აღარ გადაყლაპავს და საუცხოოდ ორგანიზებული პროფკავშირის დროშით ხელში საკუთარი უფლებების დასაცავად უკომპრომისოდ იბრძოლებს.

**თეიმურაზ ქორიძე**

# ქარტია სჭირდებათ და არა „ეთიკის ქარტია"

ლოდ დარჩენილი („დაუცველი" ჟურნალისტების მიმართ. „კონტროლი კონტროლად, მაგრამ ეთიკა რაღა შუაშიაო", — იკითხავს გაკვირვებული მკითხველი. საქმე ის არის, რომ უკონტროლო ჟურნალისტები, თავიანთი თავისუფლებით, საკუთარ თავსაც ვნებენ და საზოგადოებასაც: მაგალითად, „იმედის" ჟურნალისტები რომ თავიდანვე კონტროლზე აეყვანათ, ხომ აღარც 7 ნოემბერი მოხდებოდა, აღარც არხი დაიხურებოდა და აღარც ხალხი დაიკომბლებოდა. თუ ხალხი ქუჩაში არ გამოვიდა და „არაეთიკურად" არ იყვირა, „მიშა წადი", „მიშა წადიო", ეს სააკაშვილი მართლა გიჟი ხომ არ არის, სახლებში („საქათმეებში"!) შეუვარდეს მათ?! ამრიგად, ჟურნალისტების კონტროლი პირადად მათი და მათი დაცვის ქვეშ მყოფი „აუდიტორიისავე" სიკეთისათვის ხდება. ამიტომ აცხადებს ქ-ნი ექსპერტი, რომ ეს პროცესი „მაქსიმალურად დაიცავს ჟურნალისტებისა და აუდიტორიის უფლებებსო". ასეთი ქველმოქმედება კი სხვა რა არის, თუ არა ეთიკური საქციელი?!

* * *

**აქამდე ვიცოდით, რომ ჟურნალისტიკის როგორც „მეოთხე ხელისუფლების" არსი და მნიშვნელობა მის მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე იურიდიულ რეაგირებაში მდგომარეობდა და არა ოდენ ამ ინფორმაციის მოპოვებასა და პუბლიკაციაში.** სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც საერთოდ ჟურნალისტიკის არსებობას, მხოლოდ იმდენად აქვს აზრი, რამდენადაც გამოხატულ სიტყვას და გამოქვეყნებულ ინფორმაციას, „მესამე ხელისუფლების" — საგამოძიებო-სასამართლო ხელისუფლების — მხრივ, რეაგირება შეიძლება მოჰყვეს. ხოლო თუ ასეთი რეაგირების პერსპექტივა არ არსებობს, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაც და ჟურნალისტიკაც სხვა არა არის რა, თუ არა „წერე და იკითხე", ანუ „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის". ამიტომ აძლევს ბ-ნი პრეზიდენტიც თავს უფლებას, უპასუხისმგებლოდ განაცხადოს, „გაზეთებს არ ვკითხულობო". რატომ წაიკითხავს, როდესაც ქვეყნის პროკურორიც და მოსამართლეც ჯიბეში უზის. მეტი კურიოზი რა გინდა: ყოფილი შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრი ბრალს სდებდა მას კორუფციასა და პრემიერის მკვლელობაში, „პროკურორმა" კი ბრალმდებელი დააპატიმრა და არა ბრალდებული! აბა, პროკურორი და მოსამართლე თავ-თავიანთ სიმაღლეზე იდგნენ - ვნახავდით, როგორ არ წაიკითხავდა პრეზიდენტი გაზეთებს! გაბედოს ერთი „ევროპულ ვარიანტში" ვინმემ ასეთი თავხედური განცხადების გაკეთება და — 24 საათში მისი ბუნდლა აღარასოდეს იქნება ნებისმიერ თანამდებობაზე! ვიღაც-ვიღაცები იმედოვნებენ, ტალიავინის კომისიის მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში მხილებულ პრეზიდენტს ვანო მერაბიშვილი დაიჭერსო. მაგრამ როგორ დაიჭერს, როცა თვითონ მას ჰყავს ბ-ნი ვანო დაჭერილი?! ეს იმ ანეკდოტსა ჰგავს, ერთმა ჯარისკაცმა რომ თქვა, მტერი დავიჭირე, მაგრამ კომენდატურაში ვერ მომყავს, არ მიშვებსო. ამიტომ ჟურნალისტურ ამქარს „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაზე" ფიქრს ის ერჩივნა, რეაგირების ეთიკის ქარტიაზე ეფიქრა. თუ, რა თქმა უნდა, „ჟურნალისტური ეთიკის ქარტია", ხელისუფლების სასარგებლოდ, ცენზურისაგან ძლივს განთავისუფლებული მედიისათვის ხელახლა ლაგამის ამოდებას არ ისახავს მიზნად.



ევროკავშირის „მეფინანსეებსა" და ევროსაბჭოს „მოეგიდეებს" კი იმას ვურჩევდით, რომ თავი დაენებებინათ ევროპელი მოქალაქეების მიერ გადახდილი ფულის უმისამართოდ ფლანგვისათვის და თუ მართლა ქართველი ჟურნალისტებისათვის დახმარება სურთ, კეთილი ინებონ და მათ მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე იურიდიულ რეაგირებაში დაეხმარონ. ამის საუკეთესო საშუალება კი ის იქნებოდა, რომ უფალ ევროპელებს 2008 წლის გაყალბებული „ვადამდელი" საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ლეგიტიმურად არ ეცნოთ და ხელი არ შეეწყოთ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ სასამართლო ხელისუფლების უზურპაციაში.

**ომარ ხახაშვილი,**
**ბელგიის მოქალაქე. 25.10.09**

ბრიფინგი

# სპორტის აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები სამართალს უშედეგოდ ეძებენ

ორ წელიწადზე მეტია, რაც სპორტის აკადემია, დღემდე გაურკვეველი მიზეზების გამო გააუქმეს. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუერთეს, მაგრამ ვაი ამ შეერთებას! რაც შეეხება თვითონ შენობას, ის დღემდე უფუნქციოდაა დარჩენილი, სპორტის აკადემიის ლექტორ-მასწავლებლები უკვე რამდენი ხანია უშედეგოდ ცდილობენ სამართლის პოვნას, თუმცა მათ არც ერთ კითხვაზე არც ერთ სამთავრობო სტრუქტურას პასუხი არ გაუცია. ეს ორი წელი ინსტანციიდან ინსტანციაში სიარულს, აქციებს და პროტესტის სხვადასხვა ფორმით გამოხატვას მოანდომეს, შედეგი კი ვერ მიიღეს.

გუშინ სპორტის აკადემიის აწ უკვე ყოფილ შენობასთან, რომელზეც სახელწოდების დაფაც კი არ მოუხსნიათ, თანამშრომლებმა კიდევ ერთი საინფორმაციო ბრიფინგი გამართეს.

**ირაკლი დოლაბერიძე**, სპორტის აკადემიის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი: — უკვე ორ წელიწადზე მეტია, რაც ამ მდგომარეობაში ვიმყოფებით. იმის საშუალებასაც კი არ გვაძლევენ, რომ ჟურნალისტებს რაიმე შენობაში დაველაპარაკოთ. დღეს იმისთვის შევიკრიბეთ, რომ საზოგადოებისთვის გვეცნობებინა, თუ რა ვითარებაა ჩვენ საქმესთან დაკავშირებით. საქმეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატა იხილავს. ადვოკატი, რომელიც ჩვენ საქმეზე მუშაობდა, მრავალგზის დაშინების შემდეგ იძულებული გახდა უარი ეთქვა. ახლა ადვოკატი ლევან ჩხეიძეა, რომელიც ჩვენთან ერთად საქმეს ბოლომდე მიიყვანს.

მან აქვე დასძინა, რომ საქართველოს პარლამენტში, შესაბამის კომიტეტში შეიტანენ წერილს, რომელშიც კიდევ ერთხელ ითხოვენ დახმარებას და თუ უყურადღებობა ისევ გაგრძელდება, სპორტის აკადემიის წარმომადგენლები საჯაროდ დატოვებენ საკონსულტაციო საბჭოს და ბრძოლას ქუჩაში გააგრძელებენ.

**ჯემალ ძაძამია**, სპორტის აკადემიის ყოფილი პრორექტორი: — მთელი ორი წლის განმავლობაში უშედეგოდ ვცდილობთ სიმართლის პოვნას. სპორტის აკადემია ისე დახურეს და გამოგვყარეს, რომ არაფერი აუხსნიათ. მთელ პასუხისმგებლობას სპორტის დეპარტამენტს და კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ვაკისრებთ. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ საქმეში მაღალჩინოსანთა ინტერესებია გარეული. სარჩელს ასევე აუცილებლად შევიტანთ სტრასბურგის სასამართლოშიც.

ასე რომ, სპორტის აკადემიის მომავალი კვლავ ჰაერშია გამოკიდებული.

ანა წიწილაშვილი



ხედვა

***ხელისუფლება ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების შემსწავლელ, რიგით მეორე კომისიას ქმნის, ამჯერად — დროებით საპარლამენტოს. არ არის გამორიცხული, მას ზვიად გამსახურდიას ვაჟი — ოპოზიციონერი ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია ჩაუდგეს სათავეში, რომელიც საქართველოს პარლამენტში ბრუნდება — პარლამენტში, რომელსაც მთელი ამ ხნის განმავლობაში არალეგიტიმურად მიიჩნევდა. გვსურს, შევახსენოთ მკითხველს, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში ანალოგიური სამთავრობო კომისია უკვე არსებობს: 1991-1993 წლებში ხელისუფლების უკანონოდ შეცვლასთან დაკავშირებული მოვლენების შესასწავლად კომისია პრეზიდენტ სააკაშვილის 2004 წლის 21 თებერვლის 3174 განკარგულების საფუძველზე შეიქმნა და მას ვანო მერაბიშვილი ჩაუდგა სათავეში.***

# მერაბიშვილის საქმეს გამსახურდია გააგრძელებს?

ალსანიშნავია, რომ რევოლუციური ხელისუფლების რიგით პირველი ინიციატივა სწორედ ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერების შემორიგება იყო. სწორედ ამ მიზნით პრეზიდენტის თანამდებობაზე ახლადარჩეულმა მიხეილ სააკაშვილმა 2004 წლის 26 იანვარს ქაშუეთის ეკლესიაში ხელი მოაწერა დადგენილებას, რომელიც საპატიმროებში მყოფი ზვიად გამსახურდიას მომხრეების ამნისტიას ითვალისწინებდა. ამ დღეს ეროვნული თანხმობის შესახებ სპეციალური მემორანდუმის მიღებაც გადაწყდა. როგორ შეიქმნა მაშინ ორმხრივი სახელმწიფო კომისია?

„პირველის“ მიერ მოპოვებული მასალის თანახმად, სააკაშვილთან წინასწარი კონსულტაციების შემდეგ (ახლადარჩეულ პრეზიდენტთან მოლაპარაკებას პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე აწარმოებდა) საქართველოს დევნილმა კანონიერმა ხელისუფლებამ მიხეილ სააკაშვილს ოფიციალური წერილით მიმართა და დიალოგი შესთავაზა; წერილს ხელს აწერენ ვიქტორ ფხალაძე და მანანა არჩვაძე-გამსახურდია. ოფიციალურ წერილში აღნიშნულია, რომ **„ხელისუფლებიდან შევარდნაძის ოფიციალურად წასვლის შემდეგ საქართველოს ახალარჩეულ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილსა და დევნილ კანონიერ ხელისუფლებას შორის წარმატებული დიალოგის რეალური შესაძლებლობა არსებობს; საამისოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა და პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალ მაგიდას საჭიროდ მიაჩნია: 1. აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და ობიექტურად იქნას გამოძიებული 1991-1993 წლებში მომხდარი კრიმინალური პუტჩი, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართ 1992-1993 წლებში აღძრული სისხლის სამართლის საქმე, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა და ამ მოვლენათა თანამდევი 1991-2003 წლებში მომხდარი სხვა ფაქტები; მხოლოდ ამის შემდეგ საქართველოში გადმოსვენებულ იქნას საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ნეშტი; 2. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ ოფიციალურად აღიარებულ იქნას დევნილი კანონიერი საბჭოს სამართალმემკვიდრეობის (საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, 1991-2003 წლებში მიღებული დადგენილებები და სხვ.) ლეგიტიმურობა; შესაბამისად, მათ საფუძველზე მოხდეს ედუარდ შევარდნაძის საოკუპაციო ადმინისტრაციის მიერ მიღებული ანტისახელმწიფოებრივ-ანტიქართულ ხელშეკრულებათა გადასინჯვა; პარალელურად, სპეციალისტთაგან შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც არსებული კონსტიტუციური მოდელების მიხედვით მოამზადებს ახალი კონსტიტუციის პროექტს და სხვა სამართლებრივ დოკუმენტებს, ასევე სარეფერენდუმოდ გაიტანს დროშის, გერბისა და ჰიმნის იმ ვარიანტებს, რომლებიც მომზადდება მეცნიერ-სპეციალისტების მიერ; 3. 2004 წლის 28 მარტს დანიშნული ე.წ. პარტიული სიების არჩევნები წარმოადგენს გაგრძელებას 2 ნოემბრის უკანონო არჩევნებისა, რომელიც საყოველთაოდაა აღიარებული არაკონსტიტუციურად და ფალსიფიცირებულად, შესაბამისად, შედეგებიც არალეგიტიმური იქნება. ამდენად, მომდევნო საპარლამენტო არჩევნები დანიშნოს 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ და 2004 წლის 4 იანვარს არჩეულმა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა; საპარლამენტო არჩევნების დღედ განისაზღვროს 2004 წლის 26 მაისი; 4. პარიტეტული საარჩევნო კომისიის მიერ სამართალმემკვიდრე ლეგიტიმური, საყოველთაო და დემოკრატიული არჩევნები ჩატარდეს კონსენსუსის წესით შექმნილი ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების პირობებში; 5. საქართველოს ხელისუფლების ძირითად პრიორიტეტებად გამოცხადდეს: 5.1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან უცხო ქვეყნების ჯარების გაყვანა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 3 657 დადგენილებისა (1991 წლის 15 სექტემბერი) და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულების თანახმად; 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე საქართველო არის დამოუკიდებელი ქვეყანა და სამართალმემკვიდრეობის აღდგენის შემთხვევაში ავტომატურად თავისუფლდება დსთ-ის წევრობისაგან (1994 წლის 1 მარტი); 5.2. რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვის პირობებში საქართველოს სახელმწიფო რელიგიად ჩვენი ქვეყნისთვის ისტორიული, მრავალსაუკუნოვანი აღმსარებლობის — მართლმადიდებლობის გამოცხადება; 5.3. საქართველოს უნიტარულ სახელმწიფოში მხოლოდ ავტოქთონ არაქართველთათვის — აფხაზთათვის კულტურულ-ადმინისტრაციული ავტონომიის შექმნა; საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის კონსტიტუციისა და სამართალმემკვიდრეობის საფუძველზე დაიწყოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის საქართველოს რესპუბლიკის სამართლებრივ სივრცეში მოქცევის მიმართულებით; 5.4. სახელმწიფო ეროვნული იდეოლოგიის აქტიური პროპაგანდა და ცხოვრებაში გატარება, ეროვნული ნიჰილიზმის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა და ეროვნული თვითშეგნების დამკვიდრება; 5.5. სამართლებრივ და ძალოვან სტრუქტურებში, აგრეთვე ადამიანის უფლებათა დაცვის, ფისკალურ და ეკონომიკურ სფეროებში დასავლური პრინციპებისა და ღირებულებების უპირობო დამკვიდრება; კრიმინალური სიტუაციისა და ღირებულებების უპირობო აღმოფხვრა; კრიმინალური სიტუაციისა და ტერორიზმის წინააღმდეგ აღმკვეთი ღონისძიებების გატარება; 5.6. სახელმწიფოსა და მოქალაქეთა მიერ კანონის უზენაესობისა და კონსტიტუციის, როგორც სახელმწიფოს არსებობის საფუძვლის აღიარება; 5.7. საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს გარეთ დარჩენილ ისტორიულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ქართველთათვის მორალურ-კულტურული თანადგომის აღმოჩენა... წარმოდგენილი სახელმწიფოებრივი პრობლემების მოსაწესრიგებლად და ლეგიტიმური არჩევნების პირობების მოსამზადებლად პარიტეტულ საწყისებზე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის თავმჯდომარეობით და მისი ბრძანებით შეიქმნას 7-კაციანი ოფიციალური სახელმწიფო კომისია, რომელშიც შევლენ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, გენერალური პროკურორი და დევნილი კანონიერი ხელისუფლებისა და მთავრობის წევრები; კომისიაზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნას კონსენსუსის წესით“**.



აღნიშნული წერილის საპასუხოდ საქართველოს პრეზიდენტის 3174 განკარგულების თანახმად, 2004 წლის 21 თებერვალს 1991-1993 წლებში ხელისუფლების უკანონოდ შეცვლასთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი სამთავრობო კომისია შეიქმნა შემდეგი შემადგენლობით: ივანე მერაბიშვილი — საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, კომისიის თავმჯდომარე, ზურაბ ადეიშვილი — საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, ირაკლი ოქრუაშვილი — საქართველოს გენერალური პროკურორი, გიორგი ანდრიაძე — საქართველოს საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანი, კომისიის წევრები — მანანა არჩვაძე-გამსახურდია, ტარიელ ფუტკარაძე, მანანა ტაბიძე და მერაბ რაფავა.

პარალელურად პრეზიდენტ სააკაშვილის დავალებით, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა გენერალურ პროკურატურაში ორმხრივი კომისია შექმნა. ბრძანების ტექსტის თანახმად, საქართველოს

ინფორმაცია

# ლოთის ბალათურიას ინიციატივა არ მოსწონს

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ წევრის ვახტანგ (ლოთი) ქობალია აცხადებს, რომ ჯონდი ბაღათურიას ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების შემსწავლელი კომისიის შექმნის მოთხოვნის უფლება არ ჰქონდა.

— ჯონდი ბაღათურიას ამ კომისიის შექმნის მოთხოვნის უფლება არ ჰქონდა, ის გიორგი ჭანტურიას გვერდით იდგა, რომელიც მთელი თავისი გუნდით ზვიად გამსახურდიას ებრძოდა, —განაცხადა ქობალიამ.

მისივე განმარტებით, ქვეყანაში საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების მიზეზების გამოძიების პოლიტიკური ნება არ არსებობს, რის კონტექსტშიც მიიჩნევს, რომ პარლამენტში აღნიშნულთან დაკავშირებით შექმნილი დროებითი კომისია „ვერაფერს გამოძიებს“.

— ამის პოლიტიკური ნება არც 90-იან წლებში არსებობდა, როცა ზვიად გამსახურდია გარდაიცვალა და არც ახლა. მაშინაც ვიდევნებოდით და ვიდევნებით დღესაც. ამ გადასახედიდან, რის გამოძიებაზეა ლაპარაკი, — განმარტა ქობალიამ.

შეგახსენებთ, რომ პარლამენტში დეპუტატ ჯონდი ბაღათურიას ინიციატივის საფუძველზე ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების შემსწავლელი დროებითი კომისია შეიქმნა.

ХО-ЭОВ-ЭНО

გენერალურ პროკურატურას წერილით მიმართა საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის სპიკერმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართ და მისი გარდაცვალების ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების გადასინჯვა მოითხოვა.

2004 წლის 18 თებერვალსვე მომზადდა ოქრუაშვილის დადგენილება ზვიად გამსახურდიას საქმის წარმოების განახლების შესახებ; შეიქმნა სპეციალური საგამოძიებო ჯგუფიც.

სამთავრობო კომისიის შემადგენლობის გამოქვეყნებისთანავე ზოგიერთმა მის ობიექტურობაში ეჭვი შეიტანა, რისი მიზეზიც კომისიაში პრეზიდენტის მეუღლის — მთავარი დაზარალებულის მანანა არჩვაძის ყოფნა გახდა. ამის გამო საქართველოს პირველი პრეზიდენტის მეუღლემ და პოლიტიკური ორგანიზაცია „მრგვალი მაგიდის“ ლიდერმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ ხელისუფლების ინიციატივით შექმნილი საგამოძიებო კომისია ოფიციალურად 25 თებერვალს დატოვა.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა: როგორ იმუშავა აღნიშნულმა კომისიამ? „პირველი“ აღნიშნულ საკითხში გარკვევას შეეცადა და ამ მიზნით სამთავრობო კომისიაში მყოფ წევრებს ესაუბრა.

როგორც „პირველთან“ საუბრისას გიორგი ანდრიაძე აცხადებს, “პრეზიდენტ სააკაშვილის განკარგულებით შექმნილი კომისია დღემდე არც ერთხელ არ შეკრებილა, კომისიის წევრების მრავალგზის თხოვნის მიუხედავად“. „რამდენჯერმე წერილობით მივმართეთ, მაგრამ არავინ გამოგვეხმაურა. ხელისუფლებას მისი შექმნა უბრალოდ პიარისთვის დასჭირდა. ახლა საპარლამენტო კომისიის შექმნაც ხომ მორიგი პიარია?!“, — აცხადებს ანდრიაძე.

ანდრიაძის აზრს ტარიელ ფუტკარაძეც იზიარებს. ამასთან, „პირველთან“ საუბრისას ფუტკარაძე აქცენტს იმაზე აკეთებს, რომ ტალიავინის კომისიამ 1990-91 წლების საქართველოს შოვინიზმი დააბრალა და რატომღაც ვერ გამოიკვლია, რომ 1990-91 წლებში საქართველო რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ იბრძოდა.

„ამ კომისიამ რატომღაც ვერ გამოიკვლია, რომ 1990-91 წლებში საქართველო იბრძოდა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ, ხოლო გამსახურდიას ხელისუფლება დაამხო რუსეთის იმპერიამ დასავლეთის წაყრუების ფონზე. 1990-93 წლებში არ იყო სამოქალაქო ომი, რაც შეეხება შოვინიზმს, მისი ნასახიც არ ყოფილა! ამ პერიოდში დაამხეს დემოკრატიული და თავისუფალი საქართველოს იდეა. „ძლიერთა ამა სოფლისა“ საქართველოს კანონიერი ხელისუფლებაც გაწირეს და საქართველოც“, — განაცხადა ფუტკარაძემ და აქვე აღიშნა, რომ „1991-93 წლების პუტჩის ობიექტურად გამოძიება საქართველოსთვის აუცილებელია, ვინაიდან ამ მოვლენების არსის მიჩქმალვა და „სამოქალაქო ომად“ მონათლვა ხელს უწყობს რუსეთის იმპერიულ ინტერესს, რადგან პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობაც და პუტჩიც დაიგეგმა კრემლში და განხორციელდა კრემლისვე ემისრების მიერ“.

„პირველმა“ აღნიშნული კომისიის მუშაობის შედეგებთან და სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით აღმასრულებელ ხელისუფლებასაც მიმართა, თუმცა უშედეგოდ. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ “საქმის კურსში არ არიან და კომენტარს ვერ გააკეთებენ“.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ძალიან ბევრი კითხვა რჩება პასუხგაუცემელი: რისთვის შეიქმნა საპარლამენტო კომისია, როცა სამთავრობო დონეზე მსგავსი კომისია უკვე არსებობს? ხომ არ გაკეთდა ეს უბრალოდ იმისთვის, რომ პირველი პრეზიდენტის ვაჟი კონსტანტინე გამსახურდია პარლამენტში დაბრუნებული ყო? იქნება თუ არა საპარლამენტო კომისია ქმედითუნარიანი, შეძლებს თუ არა იგი, რეალურად გამოიძიოს საქმე და გასცეს პასუხი საზოგადოებაში დღემდე არსებულ კითხვებს, თუ სამთავრობო კომისიის მსგავსად, უფუნქციოდ დარჩება? — ამას, ალბათ, მომავალი გვიჩვენებს!

**ლევან ჭითანავა**

**საინფორმაციო სააგენტო „პირველი“**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

◎ ძრწოდეთ, ბიზნესმენებო!

# ტალღა – ლიბერალური, ქმედება – დრაკონული



**ღვთისა მადლით, ოკეანის ნაპირზე არ ვცხოვრობთ, მაგრამ ამის მიუხედავად, რაც უნდა საოცრად მოგეჩვენოთ, ტორნადოები არ გვაკლია, რომელიც წარამარა გადაგვივლის ხოლმე და თუ რამ ეკონომიკა შეგვიკოწიწებია, იმასაც ამღვრეულ ტალღებში შთანთქავს. ამას ხელისუფლება მაინც და მაინც არ განიცდის, რადგან ყოველ ასეთ ტალღას საკუთარ ხელწერად — ლიბერალური ეკონომიკის მორიგ შემოტევად მიიჩნევს და ხალხის კეთილდღეობის ზრდის გარანტად ნათლავს.**

ნათლიები კი, იცოცხლეთ, არ გვაკლია, რომლის როლის შემსრულებლად, როგორც წესი, ქვეყნის პირველი პირები გვევლინებიან. ამათგან, უნდა ვაღიაროთ, ყველაზე გამორჩეული მაინც თავად პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია, რომელიც ერთხელ არჩეულ პრინციპს არ ღალატობს და დასავლური დემოკრატიული ღირებულებებით დამშვენებული ლიბერალური ეკონომიკის ბილიკებს ლაღად და თავშექცევით მიუყვება.

ერთადერთი, ვინც ამ გზაზე პრეზიდენტს მისივე თავაზიანი ნებართვითა და ხელდასმხმით შარშან გაზაფხულზე „წინ გადაუხტა“, მაშინდელი პრემიერი ლადო გურგენიძე გახლდათ. სწორედ მან ითავა 500 მილიონი დოლარის ღირებულების ევროობლიგაციების გამოშვება, რომელიც საქართველოს მთავრობამ სარეალიზაციოდ ლონდონის ბირჟაზე განათავსა. როგორც მაშინ თავად გურგენიძე იუწყებოდა, ბრიტანულმა და ამერიკულმა კომპანიებმა თურმე ობლიგაციები სასწრაფოდ დაიტაცეს, მაგრამ რას მოხმარდა იქიდან მიღებული თანხა, ამაზე პასუხს რატომღაც ყველა თავს არიდებს.

მაინც რა მიზანს ისახავდა 500-მილიონიანი სესხის აღება? — აიჩემა ეს კითხვა ოპოზიციამ და დღემდე არ ეშვება. ჰე ბიჭო, მთავარი სესხის აღება იყო, თორემ შემოსული ფულის დახარჯვა რომ ჩვენს ღორმუცელა მთავრობას არ გაუჭირდებოდა, ამის გარანტია იმთავითვე არსებობდა. ბოლოს და ბოლოს, როგოც მაშინ ამბობდნენ, თანხის ერთ ნაწილს გაზსაცავის მშენებლობას მოახმარდნენ (ეს საქმე დღემდე არ დაწყებულაძ, მეორე ნაწილს ელექტროგადამცემი ხაზების ინვესტირებას, მესამეს — ქალაქების ფანტანიზებას და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. თუმცა საქმე ასე შორს არ წასულა — მაისში ქვეყანას საპარლამენტო არჩევნები წამოეწია და, როგორც ავი ენები ამბობენ, საობლიგაციო ბიზნესით გაიმასქნებული თანხები იმ დიდმნიშვნელოვან კამპანიას მოხმარდა. აბა როგორ, არჩევნებს „მოგება“ ხომ უნდოდა?

რა თქმა უნდა, არც იდეის ავტორი და შემსრულებლები უნდა დარჩენილიყვნენ ხელცარიელნი. როგორც ახლახან გახდა ცნობილი, ბატონი ლადო გურგენიძე და რუმინელი მილიარდერი ლინუ პატრიჩიუ „სახალხო ბანკის“ აქციათა 91,2 პროცენტის მფლობელები გახდნენ. ისინი გვპირდებიან, რომ ენერგიის დაუზოგავად ილვაწებენ და ბიზნესით არა მარტო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, შორეული აფრიკის კონტინენტზეც შეაღწევენ. აბა როგორ, თუ დაიწყებ, თავი უნდა გაწირო და საქმე ბოლომდე მიიყვანო(!ძ.

თუმცა, არა მგონია, ბატონ ლადო გურგენიძეს ჩემი წაქეზება სჭირდებოდეს, მით უფრო ახლა, როცა ძველ პრემიერს ახალი პრემიერის ხელში საქმის გამგრძელებლები გამოუჩნდნენ. და აი წელს სახელმწიფო დაგეგმილი 160 მილიონის ნაცვლად 280 მილიონი ლარის ფასიან ქაღალდებს გამოუშვებს. მიზეზი? ოფიციალურად ამ გადაწყვეტილების მიზეზად სახაზინო ვალდებულებებზე დიდი მოთხოვნა და აუქციონზე დაფიქსირებული დაბალი საპროცენტო განაკვეთები სახელდება, სინამდვილე კი ის გახლავთ, რომ ბიუჯეტში დეფიციტმა იმატა, მთავრობას ამის გამხელა არ სურს და მორიგი სიცრუის ბადეს ხლართავს.

ბადეს კი პირველი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ყველაზე „ხელმარჯვე მებადური“ მიხეილ სააკაშვილი ისვრის და მას ეკონომიკის ლიბერალიზაციის ახალ ტალღად ნათლავს. რა თანხის ღლავი ამოჰყვება ამ ნასროლს, წინასწარვე ცნობილია — 280 მილიონი ლარის სახაზინო ვალდებულებები, ანუ უფრო გასაგები ენით რომ ვთქვათ, ამავე რაოდენობის სესხი. თუმცა, პრეზიდენტი იმის ჩიტი არ გახლავთ, ვალებისა შეეშინდეს. მას არსებული ვალები, როგოც ამას წინათ განაცხადა, ეცოტავება კიდეც და მზად არის ახალი ვალები აიღოს, რადგან მიაჩნია, რომ მომავალი თაობები მას ათმაგად ამოიღებენ.

**როგორ ამოიღებენ ვალებს მომავალი თაობები, ამას მომავალი გვიჩვენებს, დღესდღეობით კი იმის თქმა შეიძლება, რომ ხელისუფლებას ეკონომიკის ლიბერალიზაციის არსი არ ესმის ან თუ ესმის, შეგნებულად ამახინჯებს. ფაქტი ის გახლავთ, რომ მთავრობა სახაზინო ვალდებულებების გამოშვებით კერძო ბიზნესიდან, ამ შემთხვევაში საბანკო სფეროდან აპირებს ფულადი რესურსების ამოქაჩვას. ერთადერთი ბანკებიღა ღონღიალობენ ამ ქვეყანაში და იმათაც მოგუდვით ემუქრებიან. წლეულს სახაზინო ვალდებულებების აუქციონი უკვე 9-ჯერ გაიმართა, რომლის საპროცენტო განაკვეთი საშუალოდ 5-დან 7 პროცენტამდე მერყეობდა. ეს თავის არსით სხვა არაფერია, თუ არა ფინანსური პირამიდა, რასაც ხელისუფლება საბიუჯეტო დეფიციტის შესავსებად იყენებს.**

მსოფლიო პრაქტიკა კი სხვა განშტოებით მიემართება. საზღვარგარეთის ქვეყნებში საცაზინო ვალდებულებები ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად გამოიყენება და არა ბიუჯეტის გასაზრდელად ან მისი დეფიციტის დასაფარავად. საქართველოს მთავრობა კი, იმისათვის რომ ბიუჯეტი შეავსოს, არც ერთ დრაკონულ ხერხსა და ქმედებას არ ერიდება. ამის დასტურია 2007 წელს გაუქმებული ფინანსური პოლიციის ხელმეორედ გაცოცხლებაც. საქართველოს პარლამენტში უკვე შევიდა კანონპროექტი, რომელიც საქვეუწყებო დაწესებულების სახით ფინანსური პოლიციის აღდგენას ითვალისწინებს. თუმცა მას სახელი შეუცვალეს და ახლა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური დაარქვეს, მაგრამ ამით არსი არ იცვლება. კანონპროექტის მიხედვით, საგამოძიებო სამსახურს ეყოლება სპეცდანიშნულების რაზმი და მის თანამშრომლებს ექნებათ ფიზიკური იძულებისა და სპეცსაშუალებების, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება. საგამოძიებო სამსახურს უფლება ეძლევა დაუბრკოლებლად შევიდეს ბინებსა და ორგანიზაციების ოფისებში, ასევე განახორციელოს შემოწმებების პროცედურები დასახელებულ ოფისებში, მაგისტრალებსა და ტერიტორიულ წყლებში. კანონპროექტი კონსპირაციული თანამშრომლების ქსელის შექმნის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს.

აი, მესმის ლიბერალიზმი!

მე არა, პრეზიდენტს და სახელისუფლებო ელიტას ესმის ასე. აბა როგორ, პრეზიდენტის მიერ აგორებული ლიბერალიზმის ტალღა რომ შემოვარდება ქვეყანაში, მას გამრუებელი და გზის მიმცემი ხომ უნდა? უნდა აბა არ უნდა? და აი ამ როლის შემსრულებელი სწორედ ფინანსური პოლიცია იქნება!

**ოთარ ხუციშვილი**

გაცნობებთ, რომ ვინაიდან 2009 წლის 8 აპრილს სს „ეგრისის“ აქციონერთა საერთო კრებაზე არ გამოცხადდა არც ერთი აქციონერი, კრების თავმჯდომარის გადაწყვეტილებით 2009 წლის 17 ნოემბერს, დღის 12 საათზე, სს „ეგრისის“ მისამართზე — ჯიქიას ქ. 16, გაიმართება სს „ეგრისის“ აქციონერთა განმეორებითი საერთო კრება 2009 წლის 8 აპრილის კრების დღის წესრიგით.

დღის წესრიგი:

1. სს „ეგრისის“ ლიკვიდაცია;
2. სხვადასხვა.

აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ თავიანთი კრებაში მონაწილის უფლება დამოუკიდებელ რეგისტრატორ „კაპიტალ-რეგისტრში“ შემდეგ მისამართზე — თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 55, ტელ: 23-03-84.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
ა. იაშვილი

◎ ომბუდსმენის ინსტიტუტი

# რატომ ვერ იცავენ ნაციონალები უფლებების დამცველებს?

**თავის დროზე „ვარდოსნები“, რომლებიც ხელისუფლებაში ადამიანის უფლებათა დაცვის ხმამაღალი ლოზუნგებით მოვიდნენ, დღეს აშკარად იგნორირებას უკეთებენ როგორც ჩვენს, ასევე საერთაშორისო უფლებათა დამცველი ორგანიზაციების რეკომენდაციებს, რჩევებს.**

როგორც ირკვევა, მომავალ წელს მიმდინარესთან შედარებით ომბუდსმენის ინსტიტუტის დაფინანსება 300 ათასი ლარით მცირდება. ყოფილი სახალხო დამცველის სოზარ სუბარის განმარტებით, ეს აუცილებლად გამოიწვევს ომბუდსმენის ოფისების დახურვას ახალქალაქში, გორში, მარნეულსა და თელავში. არადა ეს ახლადშექმნილი დანაყოფები ნაყოფიერად მუშაობენ და, რაც მთავარია, მოსახლეობას აღარ სჭირდება თბილისში, ცენტრალურ ოფისში ხშირად ჩამოსვლა.

ეტყობა, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ ომბუდსმენად მისთვის სასურველი კანდიდატურა გაიყვანა, დაიწყო ამ ინსტიტუტის როლისა და მნიშვნელობის მეთოდური დაკნინება. უკვე ფინანსებსაც მიადგნენ. ხელისუფლება ალბათ თვლის, რომ ქვეყანაში ადამიანთა უფლებები ზედმიწევნით არის დაცული და ამდენი თანხები ამ საქმეზე აღარ უნდა იხარჯებოდეს.

ექსპერტები თვლიან, რომ ყბადაღებული სასამართლო რეფორმის პირობებში, სახალხო დამცველის როლი კიდევ უფრო გასაძლიერებელია. მას თანხები კი არ უნდა ჩამოაჭრან, პირიქით უნდა დაუმატონ. თუ კი შესაძლებელია ყოვლად გაუთვალისწინებელი და გასაიდუმლოებული მსხვილი დაფინანსების მომატება შსს-თვის, რა დააშავა ომბუდსმენის აპარატმა?

**ზაზა ბილიხოძე**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ამერიკამ საქართველოს დაუყოვნებლივი პასუხი გასცა

**საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა უქმე დღეებში გამოაცხადეს ორკვირიანი ამერიკა-საქართველოს სამხედრო სწავლების – „დაუყოვნებლივი პასუხის“ დაწყების შესახებ, რომელიც გაიმართება პოლიგონზე თბილისის მახლობლად. მაგრამ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წარმომადგენელმა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში უარყო სწავლების ფაქტი**

აღმოჩნდა, რომ ჟურნალისტებმა ხელისუფლების სტრუქტურის წყაროებიდან მიღებული ინფორმაციით, საწვრთნელი კურსი შეაფასეს, როგორც სწავლება. კურსი ეწყობა ქართველი სამხედრო მოსამსახურეებისთვის, რომლებიც მიემგზავრებიან ავღანეთში.

პირველად სწავლება „დაუყოვნებლივი პასუხი“ საქართველოში გაიმართა 2008 წლის აგვისტოში. მაგრამ რუსეთთან სამხრეთ ოსეთის გამო კონფლიქტის დაწყების შემდეგ, დაახლოებით ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე სასწრაფოდ გაიყვანეს ქვეყნიდან. ამერიკელებმა მაშინ რამდენიმე სამხედრო ჯიპის წაყვანაც კი ვერ მოასწრეს სიჩქარეში, რომლებიც შემდეგ რუსეთის არმიის ხელში აღმოჩნდა ნადავლის სახით ქალაქ ფოთის დაკავების შემდეგ (ტექსტში ასეა).

ამერიკის შეერთებულ შტატებთან ახალმა ერთობლივმა „სწავლებამ“ საქართველოში ნამდვილი აჟიოტაჟი გამოიწვია. მაგრამ თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში გვითხრეს, რომ ამ მომენტისთვის არავითარი ამერიკა-საქართველოს სწავლება არ მიმდინარეობს. როგორც აღმოჩნდა, საკითხი შეეხება საწვრთნელ კურსს, რასაც ამერიკელი ინსტრუქტორები აწყობენ ქართველი სამხედრო მოსამსახურეებისთვის კრწანისის ცენტრში. „როგორც ცნობილია, ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების მცირე რიცხვი მართლაც იმყოფება საქართველოში და ისინი ასწავლიან ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს ტერორიზმთან ბრძოლის მეთოდებს ავღანეთში თავიანთი ფუნქციების შესასრულებლად, – განაცხადა დამოუკიდებელი სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალის „არსენალის“ მთავარმა რედაქტორმა ირაკლი ალადაშვილმა. – ამ ღონისძიებას დიდი გაჭირვებით თუ შეიძლება ვუწოდოთ საქართველო-ამერიკის სამხედრო სწავლება“.

ყველაფერი ეს მიმდინარეობს საქართველოს სამხედროების მომზადების ფარგლებში, რომლებიც მიემგზავრებიან ავღანეთში სამშვიდობო მისიით უშიშროების ხელშეწყობის საერთაშორისო ძალების შემადგენლობაში, შეგახსენებთ, რომ საქართველოს პარლამენტმა აგვისტოს დასაწყისში დაამტკიცა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინიციატივა ქვეითი ასეულის და ქვეითი ბატალიონის გაგზავნის შესახებ მისიაში მონაწილეობის მისაღებად. თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, ბატალიონი იმსახურებს ამერიკელების, ასეული კი – ფრანგი სარდლების ხელმძღვანელობით. იგეგმება, რომ ქართველი სამხედროების პირველი ჯგუფი ავღანეთში გაიგზავნება ამ შემოდგომით, შემდეგი კი – 2010 წლის გაზაფხულზე.



ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითი ჯარების კორპუსის ინსტრუქტორების ჯგუფმა ჯერ კიდევ სექტემბერში დაიწყო ინტენსიური ექვსთვიანი კურსი საქართველოს არმიის 31-ე ქვეითი ბატალიონისთვის. შემთხვევითი როდია, რომ კრწანისის პოლიგონიდან ვიდეოკასეტებზე, რასაც საქართველოს ტელეარხები უჩვენებენ, არ არის არც ერთი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე, სწავლებაში ისინი არ მონაწილეობენ, ასრულებენ მხოლოდ ინსტრუქტორების ფუნქციებს. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრში აღიარეს, რომ საკითხი შეეხება წვრთნას, რაც არ წარმოადგენს სწავლებას ამ ცნების სრული წარმოდგენით.

საქართველოს ხელისუფლების ვარაუდით, სწავლებამ უნდა აჩვენოს თბილისისა და ვაშინგტონის ურღვევი მეგობრობა. ამის გულისთვის ქართველმა ჩინოვნიკებმა გადაწყვიტეს ოდნავ აემაღლებინათ „საწვრთნელი კურსის“ სტატუსი „ერთობლივ სწავლებამდე“. მაგრამ ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ამჟამინდელი ადმინისტრაცია, რათა არ გააღიზიანოს მოსკოვი, ფრთხილობს კვლავ გააჩაღოს სამხედრო თანამშრომლობა საქართველოსთან მასშტაბურად. მაგალითად, ათასი სამხედრო მოსამსახურის ნაცვლად, რომლებიც საქართველოში იმყოფებოდნენ 2008 წლის აგვისტოსთვის, ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ყოფნა ქვეყანაში მინიმალურია – ათ კაცამდე – ესენი სამხედრო ინსტრუქტორების ჯგუფია.

ამასთან დაკავშირებით იხსენებენ საქართველოს ყოფილ თავდაცვის მინისტრს დავით სიხარულიძეს, რომელმაც გულუბრყვილოდ განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ინტერვიუში, რომ ანტიტერორისტული ჩვევები, რასაც მისი ხელქვეითები ღებულობენ ამერიკის შეერთებული შტატების პროფესიონალებისგან, გამოადგება ქართულ არმიას რუსეთთან ომში. მაშინ ვაშინგტონმა უკმაყოფილება გამოთქვა ამ ფორმულირების გამო და ბატონ სიხარულიძეს მოუწია მოეხდინა საკუთარი განცხადების დეზავუირება, მალე კი იგი სულაც გადააყენეს.

**გიორგი დვალი,
ალექსანდრ რეუტოვი**

**Коммерсантъ**

## დედამიწის ზურგზე



**ამერიკის სასამართლო გადაწყვეტს „ტიტანიკის“ დაღუპვის ადგილზე ახალი ექსპედიციის გაგზავნისა და უკვე ამოღებული განძეულობის ახალ ბედს**

უკანასკნელი ექსპედიცია მოეწყო 2004 წელს, მომდევნო, როგორც ვარაუდობენ, იქნება 2010 წელს. მყვინთავებმა ზღვის ფსკერიდან ამოიღეს 5,9 ათასი ფაიფურის ნაკეთობა, გემის ინტერიერის საგნები და მგზავრებისა და ეკიპაჟის წევრების პირადი ნივთები, რომლებსაც აფასებენ 110 მილიონ და მეტ დოლარად.

* * *

**აფეთქებები, რომლის დროსაც დაიღუპა ბაღდადის 150-ზე მეტი მცხოვრები, აღიარეს „ალ-ყაიდას“ მოკავშირეებმა**

დაჯგუფებამ „ერაყის ისლამურ რესპუბლიკა“ იკისრა პასუხისმგებლობა ორმაგ ტერაქტზე, რომელიც კვირას მოხდა. მაშინ თვითმკვლელმა ტერორისტებმა ააფეთქეს მიკროავტობუსები. დაღუპულთა შორის 24 ბავშვი აღმოჩნდა.



* * *

**სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში შესულ ხომალდზე ნახეს დაღუპული რუსი და უკრაინელი მეზღვაურები**

„ატლანტიკ ელანდის“ შესახებ რვა თვის განმავლობაში არავითარი ინფორმაცია არ ყოფილა. ახლა იგი გაჩნდა სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკაში. ორი მეზღვაური დაიღუპა თავის კაიუტაში, კიდევ ორი – ჰოსპიტალიზებულია, შეიძლება მოწამვლის გამო. გემის ეკიპაჟი 28 რუსი და უკრაინელი მეზღაურისგან შედგება.

* * *

**დნესტრისპირეთში დამტკიცდა კონსტიტუციის საბოლოო ვარიანტი, რომელიც განამტკიცებს პრეზიდენტის ხელისუფლებას**

კრემლის ადმინისტრაციის წყაროების ინფორმაციით, რუსეთის ხელისუფლებას არ მოსწონს იგორ სმირნოვისთვის უსაზღვრო ხელისუფლების მინიჭების იდეა, ვინაიდან დნესტრისპირეთის პრეზიდენტს ბევრი პრეტენზია აქვს, მათ შორის, ეკონომიკური ხასიათისაც.

* * *

**რუსეთის ბიზნეს-ლაინერი, რომელიც მინსკის მახლობლად დაიმსხვრა, შეიძლება დაღუპულ იყო ცუდი ამინდის გამო**

ავიაკომპანია „C-ეირის“ ელიტური თვითმფრინავი დაიმსხვრა ორშაბათს გვიან ღამით. დაიღუპა 5 კაცი: ავიაკომპანიის ხელმძღვანელი მარატ რომაშკინი, მისი მცველი და ეკიპაჟის სამი წევრი. კიდევ ერთი მგზავრი გაურკვეველი მიზეზის გამო არ ჩამჯდარა თვითმფრინავში. კატასტროფის ადგილზე აღმოაჩინეს „შავი ყუთი“.



# ქართული ღვინო 2006 წლის რუსული ბოიკოტის შემდეგაც კარგად იყიდება

**როდესაც რუსეთმა დაიწყო ქართული ღვინის ბოიკოტი 2006 წელს, საქართველომ უმალვე დაკარგა საექსპორტო ბაზრის 80 პროცენტი. მაგრამ ამჟამად ქართველი მეღვინეები ამ აქციას იყენებენ, როგორც ბოროტებას სიკეთისთვის**

მრავალი ასეული წლის განმავლობაში ღვინო იყო ქართული კულტურის საფუძველი, ამავე დროს ღვინო იყო რუსეთსა და საბჭოთა იმპერიაში ღვინის ძირითადი მიმწოდებელი. უზარმაზარმა მოთხოვნამ და კონკურენციის უქონლობამ ხელი შეუწყო ხარისხის გაუარესებას.

მაგრამ, როგორც საქართველოს კომპანია „თელიანი ველის“ კომერციული დირექტორი შოთა ქობალია გვიამბობს, როდესაც ურთიერთობა საქართველოს ახალ პროდასავლურ მთავრობასა და კრემლს შორის მივიდა იმ წერტილამდე, როდესაც შემოღებული იქნა ემბარგო, ქართველმა მეღვინეებმა ამაში დაინახეს თავიანთთვის ახალი შესაძლებლობანი.

„რასაკვირველია, აკრძალვამ ზიანი მოგვაყენა, ვინაიდან დავკარგეთ ჩვენი უდიდესი მომხმარებელი. მაგრამ ამ დროს კონკურენცია არ ყოფილა. ახლა ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, ვივაჭროთ უფრო მომგებიან ბაზრებზე, რისკენაც გვიბიძგებს უფრო ხარისხიანი პროდუქტის შექმნის აუცილებლობა“, – განმარტავს იგი.

რუსეთმა ქართული ღვინის აკრძალვა დაიწყო 2006 წლის მარტში იმის საფუძველზე, რომ მასში იყო პესტიციდები და სხვა მავნე ნივთიერებანი. შემდეგ ემბარგო გავრცელდა საქართველოს სხვა პროდუქტებზე, მათ შორის მინერალურ წყალზეც. ექსპერტებმა და მიმომხილველებმა ეს ნაბიჯი მიიჩნიეს, როგორც რუსეთის მცდელობა დასაჯოს მიხეილ სააკაშვილის პროდასავლური მთავრობა, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა 2003 წლის უსისხლო „ვარდების რევოლუციის“ დროს.

ამჟამად „თელიანი ველის“ ღვინოები იყიდება 23 ქვეყანაში, თავად კომპანია კი გახდა ნომერ პირველი ქართველი ექსპორტიორი. ამ ხნის განმავლობაში განახლდა მოწყობილობა და ტექნოლოგიები. ამავე დროს წლიური შემოსავალი 13 პროცენტიდან 17 პროცენტამდე გაიზარდა.

**ნიკ კლეიტონი**

**The Washington Times**

# ურანი ჩაის სახით, ცეზიუმი თხილში.

## ნადირობა კონტრაბანდისტებზე საქართველოში

**ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს კონტროლის სისტემაში მოახდინა 50 მილიონის ინვესტირება**

აზერბაიჯანთან და სომხეთთან საქართველოს საზღვარზე დაყენებულია ელექტრული მოწყობილობა, რომელსაც შეუძლია აღმოაჩინოს რადიაქტიური ნივთიერებანი. საქმე ის არის, რომ კონტრაბანდისტები, რომლებსაც განზრახული აქვთ გაყიდონ, მაგალითად, გამდიდრებული ურანი, იყენებენ სწორედ ამ საზღვარს. მაგალითად, ექვსი წლის წინათ დააპატიმრეს ვინმე გარიკ დადაიანი, რომელიც ცდილობდა საზღვარზე ჩაის ქილით გაეტანა 173 გრამი გამდიდრებული ურანი, რომელიც უკვე მზად იყო ატომური ბომბის დასამზადებლად. მისი სიტყვებით, მას, რომელიც შეჩვეული იყო კონიაკის, ხიზილალისა და სიგარეტის გასაღებას, საქონელი უნდა მიეყიდა თურქი შუამავლისთვის, რომელიც, თავის მხრივ, აპირებდა ურანის გადაყიდვას „მუსულმანისთვის“.

ამერიკის უწყებამ ბირთვული უშიშროების საკითხში უკვე დააყენა საქართველოში ყველაზე თანამედროვე მოწყობილობა, რომელსაც შეუძლია აღმოაჩინოს რადიაქტიური მტვერიც კი. საქართველოში მოხდა 50 მილიონი დოლარის ინვესტირება (მსოფლიოს სხვა ქვეყნებში – კიდევ 400 მილიონისაძ, მოეწყო 20 სასაზღვრო გადასასვლელი, მათ შორის ნავსადგურები, აეროპორტები, საბაჟოები. შარშანდელმა ომმა შეანელა პროექტის რეალიზაცია. „ათასი წლის განმავლობაში კავკასია აბრეშუმის გზის ცენტრი იყო, – ამბობს თბილისში დანაშაულობასთან და კორუფციასთან ბრძოლის ტრანსეროვნული ცენტრის დირექტორი ალექსანდრე კუხიანიძე. – ახლა კონტრაბანდისტებს შეუძლიათ გამოიყენონ პოლიტიკური არასტაბილურობა. ჩვენი მთავრობა კონტროლს ვერ უწევს საზღვრებს სეპარატისტულ რესპუბლიკებთან აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან“.

ქართველი ჩინოვნიკი ამბობს, რომ საზღვარი სამხრეთ ოსეთთან გახდა კიდევ უფრო საშიში, ვიდრე ადრე იყო, ვინაიდან გადაიქცა მილიტარიზებულ ზონად. რუსი სამხედროები წინააღმდეგობას არ უწევენ ადგილობრივი კლანების საქმიანობას, რომლებიც აგრძელებენ ნარკოტიკების, იარაღის, სიგარეტის, ალკოჰოლის ნაკადების მართვას. რაც შეეხება რადიაქტიურ მასალებს, ისინიც შემოდიან საქართველოს ტერიტორიაზე ძველი არხებით.

ამ დღეებში საქართველოს სპეციალური სამსახურები აწყობენ მორიგ ოპერაციას: ზოგიერთები სთავაზობენ ცეზიუმის პარტიას – 137, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს „ბინძურ“ ბომბში. ამ ნივთიერების 500 გრამი საკმარისია, რომ დააზიანოს ორი საცხოვრებელი კვარტალი ამერიკაში ან ევროპაში. ერთი წლის წინათ გააუვნებლეს პენსიორების ბანდა (ყოფილი პოლიციელები და ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლებიძ, რომლებიც აპირებდნენ 700 გრამი ცეზიუმის გაყიდვას. „ვშიშობ, რომ ტერორისტები ყიდულობენ რადიაქტიურ მასალებს აქ და იქ, აგროვებენ ამ ნივთიერების დიდ ოდენობას“, – ამბობს არჩილ ფავლენიშვილი, გამომძიებელი, რომელიც სათავეში უდგას რადიაქტიური მასალების გავრცელებასთან ბრძოლის სპეციალურ ჯგუფს.

შეშფოთებას გამოხატავს საქართველოს სპეციალური სამსახურების მეორე თანამშრომელიც, ანალიტიკოსი შოთა უტიაშვილიც. მისი სიტყვებით, კონტრაბანდისტების 99 პროცენტი ცდილობს, გამოიყენოს გამოსაყენებლად უსარგებლო მასალები, მაგრამ „ჩვენ არ შეგვიძლია ნება მივცეთ, რომ თუნდაც ერთი პროცენტი იქნეს გამოყენებული წარმატებული გარიგებისთვის“, – ამბობს ჩინოვნიკი.

**დეივიდ ფრატინი**

**CORRIERE DELLA SERA**

# განჩინება

## საჯარო შეტყობინების შესახებ

**საქმე №2/1261-08**

**06 ოქტომბერი 2009 წელი** **ქ. თბილისი**

### თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე მაკა ჭედიამ

**მოსარჩელე** – „საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო ჰოლდინგი“

**მოპასუხეები** – დავით ნათიძე, ნუგზარ ფოცხვერაშვილი

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მოპასუხეების დავით ნათაძისათვის და ნუგზარ ფოცხვერაშვილისათვის სარჩელისა და თანდართული მასალების საჯაროდ შეტყობინების საკითხი და

**გამოარკვია:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში მოსარჩელე „საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო ჰოლდინგის“ საქმე მოპასუხეების დავით ნათიძისა და ნუგზარ ფოცხვერაშვილის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოპასუხეებს ვერ ბარდებათ სარჩელში მითითებულ მისამართებზე დავით ნათიძეს (ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. №18, ბინა 60ძ და ნუგზარ ფოცხვერაშვილს ქ. რუსთავი, IX მ/რ, კორპუსი 46, ბინა 70ძ გაგზავნილი სარჩელი და თანდართული მასალები ბრუნდება წარწერით, რომ მოპასუხეები აღნიშნულ მისამართებზე არ ცხოვრობენ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია და მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

ამავე მუხლის თანახმად, მხარე უფლებამოსილია, სასამართლო განჩინების საფუძველზე, თავისი ხარჯებით განახორციელოს საჯარო შეტყობინება ინფორმაციის სხვა საშუალებებით და სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან დავით ნათიძის და ნუგზარ ფოცხვერაშვილის ადგილსამყოფელი უცნობია, მათ სარჩელის და თანდართული მასალების თაობაზე უნდა ეცნობოს საჯარო შეტყობინებით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 78-ე, 284-285-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

1. მოპასუხეებს დავით ნათიძესა და ნუგზარ ფოცხვერაშვილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს შემდეგს:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე „საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო ჰოლდინგის“ სარჩელის გამო დავით ნათიძესა და ნუგზარ ფოცხვერაშვილის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე;

**სარჩელის მოთხოვნებია:** სოლიდარულად დაეკისროს მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის 2 710 აშშ დოლარის ეკვივალენტის ეროვნულ ვალუტაში ანაზღაურება და ასევე მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 276 ლარის ანაზღაურება.

**სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებია:** 2008 წლის 26 იანვარს, დაახლოებით 20 საათსა და 40 წუთზე ბელიაშვილის და მიქელაძის ქუჩის შესახვევში მოსარჩელის მიერ დაზღვეულ ავტომობილს VOLKSVAGEN PASAT-ს სახელმწიფო ნომრით ELI-319-ს წინა მხრიდან შეეჯახა ავტომობილი OPEL OMEGA სახელმწიფო ნომრით AAP-926-ი, რომელსაც მართავდა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მძღოლი ნუგზარ ფოცხვერაშვილი.

მომხდარი ავტოავარიული შეჯახების შედეგად დაზღვეული ავტომობილის მძღოლი და მისი მგზავრი სხეულის დაზიანებით გადაყვანილ იქნენ საავადმყოფოში და აღნიშნულ ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

მომხდარი ავტოავარია ჩაითვალა სადაზღვევო შემთხვევად და მოსარჩელე კომპანიის მიერ მოსარგებლე ელისო ჭიჭინაძეზე გაცემული იქნა ანაზღაურება 2 710 აშშ დოლარის ოდენობით.

მოსარჩელის განმარტებით მას წარმოეშვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის საფუძველზე ზიანის რეგრესის წესით ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სოლიდარულად მოეთხოვა თანხის დაკისრება ნუგზარ ფოცხვერაშვილისა და ა/მ ოპელის მესაკუთრე დავით ნათიძის მიმართ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201 მუხლის შესაბამისად, მოპასუხე ვალდებულია წერილობით შეადგინოს პასუხი (შესაგებელი) სარჩელისა და მასში დასმულ საკითხებზე და სარჩელზე დართული დოკუმენტების შესახებ მოსაზრებებთან ერთად წარუდგინოს ისინი სასამართლოს მიღებიდან 10 დღის ვადაში. მოპასუხის მიერ წერილობით პასუხში მითითებული უნდა იყოს:

აძ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეაქვს პასუხი;

ბძ მოპასუხის, მისი წარმომადგენლის (თუ პასუხი შეაქვს წარმომადგენელსძ, მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდებაძ, ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელიძ, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, ტელეფონი, მათ შორის, მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი; პასუხში შესაძლებელია მითითებული იქნას საკონტაქტო პირის მონაცემები;

გძ ცნობს თუ არა სარჩელს და რა ნაწილში;

დძ თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება მისი პასუხი სარჩელის წინააღმდეგ;

ეძ მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოპასუხის მიერ მითითებულ გარემოებებს;

ვძ რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოპასუხე სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფს სარჩელის დასაშვებობას;

ზძ არსებობის შემთხვევაში მოპასუხის შუამდგომლობები;

თძ ხომ არ ექნება აცილება სასამართლოს ან მოსამართლის მიმართ;

ვინ შეიძლება ჩაება პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად;

რომელი მოწმე უნდა იქნას გამოძახებული სასამართლო სხდომაზე;

სხვა სახის შუამდგომლობები;

იძ პასუხისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა;

ლძ მოპასუხის წერილობით პასუხს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ შესაგებელი სასამართლოში შეაქვს წარმომადგენელს.

მძ პასუხში სრულყოფილად და თანმიმდევრობით უნდა აისახოს მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით. მოპასუხე ვალდებულია პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები. მოპასუხე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

ნძ მოპასუხე ვალდებულია თავისი პასუხი (შესაგებელიძ სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ წარუდგინოს სასამართლოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. შესაგებელი უნდა პასუხობდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს.

ოძ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე თავით დადგენილი წესით.

პძ მოპასუხეს შეუძლია პასუხის შეტანისას განაცხადოს, რომ თანახმაა წერილობითი მასალები მიიღოს ელექტრონული ფოსტით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო, როგორც წესი, მოპასუხეს მასალებს უგზავნის ელექტრონული ფოსტით.

რძ პასუხს ხელს აწერს მოპასუხე ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი;

ჟძ მოპასუხის მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლისძ წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

2. სარჩელი და თანდართული დოკუმენტები მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება პუბლიკაციიდან მე-7 დღეს;

3. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

**მოსამართლე მაკა ჭედია**

---

**◎ სტუმრად – იაპონია**

# „ნინგიო“ თოჯინები „ქარვასლაში“

**საქართველოს ეროვნულ მუზეუმ „ქარვასლაში“ იაპონიის საელჩოს მიერ იაპონური ტრადიციული თოჯინების პირველი გამოფენა გაიმართა.**

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო იაპონიის სრულუფლებიანი ელჩის კამოჰარას მეუღლის ჯუნკო კამოჰარას კერძო კოლექცია. რვა სახის „ნინგიო“ (ნინგიო ნიშნავს „ადამიანის ფიგურას“, უფრო ხშირად თოჯინადაც ითარგმნება) – თოჯინა, რომელსაც იაპონიისთვის დამახასიათებელი ყველა სიმბოლიკა გამოარჩევს.



**ლიკა მამაცაშვილი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოფენების კურატორი:** „თბილისში დაახლოებით 80-იან წლებში „იაპონური აკვარელი“ გამოიფინა, მას შემდეგ მსგავსი გამოფენა აღარ ყოფილა. სასიხარულოა, რომ ეს ლამაზი დღე ახლა დადგა. იაპონიის საელჩოს გახსნის დღიდან სურდა ასეთი გამოფენის გამართვა, სხვადასხვა ვარიანტიდან ბოლოს იაპონურ „ნინგიო“ თოჯინაზე შეთანხმდნენ“.

გამოფენის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ქალბატონმა ჯუნკო კამოჰარამ სტუმრებს პირადად უმასპინძლა და გახარებული იყო იმით, რომ მრავალი დამთვალიერებელი ეწვია. „გამოფენა მიზნად ისახავს იაპონური კულტურის წარმოჩენას საქართველოში. ჩვენ გვსურს უფრო კარგად გაგვიცნოს ქართველმა ხალხმა, ასეთი ლონისძიებები კვლავაც გაგრძელდება“.



„ნინგიო“ თოჯინები XI საუკუნეში ჩამოყალიბდა. ამ დროისათვის დადგენილი იყო თოჯინების რამდენიმე ტიპი, რომელიც მოგვიანებით უფრო დაიხვეწა. მდიდარი ფენა განსაკუთრებულ როლს ასრულებდა მათ განვითარებაში, საკუთარ სახლებს თოჯინებით აფორმებდნენ, ხშირად იყენებდნენ საჩუქრებად და სხვადასხვა მიზნით აგროვებდნენ. მათზე გაზრდილი მოთხოვნების გამო თოჯინების ფორმაც უმჯობესდებოდა. „ნინგიოთა“ უმრავლესობა ბავშვებისათვის სათამაშოდ არ არის განკუთვნილი, რადგან ვირტუალურები არიან. ყველა იაპონურ ოჯახში შეხვდებით „ნინგიოებს“, გვაქვს დიდი სადღესასწაულო ფესტივალი, სადაც შინა „ნინგიოები“ მონაწილეობენ. შინა „ნინგიოებში“ იგულისხმება მთელი საიმპერატორო კარი, მინისტრებითა და მსახურებით. ყველაზე დიდ საჩუქრად ითვლება თოჯინის გადაცემა სასურველი ოჯახისათვის.

გამოფენის საპატიო სტუმრებს შორის იყვნენ იაპონიისა და ჩინეთის საელჩოს წარმომადგენლები, გოეთეს ინსტიტუტი, ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკი“ და იაპონურ სამოსში გამოწყობილი საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი.

**სანდრა რულოვსი, საქართველოს პირველი ლედი:** „ძალიან მოგვეწონა გამოფენა, ჩვენ პატივს ვცემთ იაპონურ კულტურას. ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი, რომ ჩვენმა საზოგადოებამ მეტი ინფორმაცია მიიღოს მათი კულტურის შესახებ. ქუჩაში რომ იაპონელი გამოჩნდება, ზოგს კორეელი, ზოგსაც ჩინელი ჰგონია. თვითონ მეუბნებოდა ქალბატონი კამარა, მეტი ინფორმაცია და ღონისძიებაა საჭირო, რათა ქართველმა ხალხმა უკეთ გაიცნოს იაპონური კულტურაო. მსგავსი ღონისძიება იაპონიაში დავგეგმეთ ჩვენი ქვეყნისა და ტრადიციების უკეთ გასაცნობად. მართალია, შორეული ქვეყანაა, მაგრამ ჩვენს ურთიერთობებს ნამდვილად ხელს შეუწყობს“, – დაასრულა სანდრა რულოვსმა.

**თინათინ ბორცვაძე,**
**ავტორის ფოტო**

---

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
**99-62-77;**
**899 32-85-76.**
გ. ახვლედიანის ქ. №19.

---

**განცხადება საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ**

სს „თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა“ აცხადებს მეორე საჯარო აუქციონს ბირჟის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე.

აუქციონი გაიმართება 2009 წლის 10 ნოემბერს 12 საათზე ქ. თბილისში, გალაკტიონის ქ. №4-ში.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 92-34-43, 895-74-40-72.

თბსბ-ის გენ. დირექტორი

---

**განცხადება სააქციო საზოგადოება „მასპინძელის“ აქციონერთა საერთო განმეორებითი კრების მოწვევის შესახებ**

**2009 წლის 17 ნოემბერს 16 საათზე მოწვეულია ს.ს. „მასპინძელის“ აქციონერთა რიგგარეშე განმეორებითი საერთო კრება იურიდიულ მისამართზე: თბილისი, თარხნიშვილის №1.**

**დღის წესრიგი:**

1. ს.ს. „მასპინძელის“ 2008 წლის საფინანსო-სამეურნეო წლიური ანგარიში;
2. ქალბატონ თინა ბაიაშვილის განცხადების განხილვა;
3. სხვადასხვა.

საერთო კრების საალრიცხვო დღე – 2009 წლის 21 სექტემბერი.

აქციონერებს შეუძლიათ კრებაში მონაწილეობის უფლება შეამოწმონ გაერთიანებულ ქართულ რეგისტრატორთან მისამართზე: ჭავჭავაძის გამზირი №74ა.

◎ პიარის სამყაროში

# პოლიტიკა სპორტში?




**ამ დღეებში ვარდ-ყვავილოვანმა ხელისუფლებამ მორიგი სატყუარათი სცადა საზოგადოების ყურადღების მიპყრობა — პარტნიორ სახელმწიფოებს მოვუწოდოთ, ბოიკოტი გამოუცხადონ სოჭის ოლიმპიადასო.**

შეგახსენებთ, რომ ანალოგიური ინიციატივით საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს შარშან საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმაც მიმართა, მაგრამ ჩვენს თანამემამულეებს ერთმნიშვნელოვნად მიანიშნეს — სპორტს და პოლიტიკას ერთმანეთში ნუ აურევთო. მაშ, რა ბზიკმა უკბინათ ძალაუფლებით დაბანგულ პოლიტიკანებსო? — დაინტერესდებით, ალბათ.

დიპლომატიაში ღრმად განსწავლულ თინეიჯერთა გულისნადებს ჩვენ როგორ ჩავწვდებით, ამიტომ მხოლოდ ვარაუდს გამოვხატავთ მოკრძალებით.

როგორც ცნობილია, 7 ნოემბრიდან ოპოზიცია ახალი საპროტესტო ტალღის აგორებას აპირებს. ჰოდა, მაშინ, როცა მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ათასგვარი პრობლემით აქვს გაბეზრებული ცხოვრება, რაიმეთი ხომ უნდა დააბან ოჯახში და მიაჯაჭვონ ტელევიზორს.

როგორ გგონიათ, თვითონ ტვინიკოსებმა არ იციან, რომ მათი მცდელობა ამთავითვე ჩასაფლავებლად არის განწირული? მშვენივრად უწყიან, მაგრამ პიარით გართული ძლიერნი ამა ქვეყნისანი ხალხის დასაბოლებლად ბოძებულ მორიგ შანსს ხელიდან როგორ გაუშვებდნენ.

გია პლატონიშვილი

◎ ჭადრაკი

# ჩვენც შევფერხდით



**სერბეთის ქალაქ ნოვი სადში მიმდინარე ევროპის გუნდური ჩემპიონატის მეხუთე ტურში ქართველმა მოჭადრაკეებმა პირველი დანაკარგი განიცადეს.**

ქალთა ნაკრები უკრაინელებს დაუზავდა — 2:2 (ოთხივე პარტია ყაიმით დასრულდა), თუმცა 9 ქულით ერთპიროვნული ლიდერობა მაინც შეინარჩუნა.

კიდევ უფრო წარუმატებლად ითამაშეს ჩვენმა ვაჟებმა, რომლებიც აზერბაიჯანელებს ხვდებოდნენ — 1,5:2,5. აღსანიშნავია ბაადურ ჯობავას მიერ პირველ დაფაზე თემურ რაჯაბოვთან მოპოვებული გამარჯვება, მაგრამ მას მხარი ვერ აუბეს პარტნიორებმა: თორნიკე სანიკიძე ყაიმზე შეუთანხმდა მეტოქეს, ხოლო მიხეილ მჭედლიშვილი და ლევან ფანცულაია დამარცხდნენ.

ამ მოგებით ჩვენი მეზობლები 10 ქულით საჩემპიონო რბოლაში დაწინაურდნენ. „ჯვაროსნები“ რუსებთან ერთად 8-8 ქულით მეორე ადგილს იყოფენ.

◎ ინტერნეტიდან

## მეკარის გამარჯვების გოლი




**ეს არც პირველი და, ალბათ, არც უკანასკნელი გოლი იყო ბრაზილიური „სან-პაულუს“ მეკარის როჯერიო სენის სპორტულ კარიერაში. მას თავის კარიერაში გატანილი აქვს 84 ბურთი და ყველაზე გამტან მეკარედ ითვლება მსოფლიოში.**

„სან-პაულუ“ ბრაზილიის ჩემპიონატზე ხვდებოდა „სანტოსს“, 69-ე წუთზე, როდესაც ანგარიში იყო 3:3 — „სანტოსის“ კარში დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. მისი შესრულება როჯერიო სენის მიანდეს. კარიდან 20 მეტრზე მეკარემ დაბალი ბურთი ისე დაარტყა, რომ მის წინ აღმართულ „კედელს“ აუარა და მეტოქის კარში ისე აღმოჩნდა, რომ მათმა მეკარემ განძრევაც კი ვერ მოასწრო. რაც „კედელში“ მდგარ თავისი გუნდის მოთამაშეებს დააბრალა. ეს იყო სენის პირველი ბურთი ამ სეზონში.

აღსანიშნავია, რომ თამაშის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე როჯერიო სენი მინდვრიდან გააძევეს საჯარიმო მოედნის გარეთ „სანტოსის“ თავდამსხმელის ჟეანეს წაქცევისთვის. ეს მატჩი „სან-პაულუმ“ მოიგო — 4:3.

## თავი მწვრთნელმა გამოიჩინა



**იუგოსლავიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი დრაგან სტოიკოვიჩი, ახლა იაპონური კლუბის „ნაგოია გრამპუს ეიტის“ მთავარი მწვრთნელი რომაა, ერთ-ერთ ყველაზე კურიოზული გოლის ავტორი გახდა ამომავალი მზის ქვეყნის ჩემპიონატზე.**

გუნდთან „იოკოგამა მარინოსის“ შეხვედრისას სტოიკოვიჩმა გაიხსენა რა საფეხბურთო წარსული, მინდვრიდან გადმოვარდნილ ბურთს ისე მძლავრად და გასაოცრად ზუსტად დაარტყა, რომ ის მეტოქის კარში აღმოჩნდა.

რასაკვირველია, ეს გოლი არ ჩაითვალა, მაგრამ მატჩის მსაჯმა გოლეადორ მწვრთნელს წითელი ბარათი უჩვენა და მინდვრის მახლობლობიდანაც გააძევა.

შეგახსენებთ, რომ იუგოსლავიის ნაკრებში დრაგანს ნათამაშები აქვს 84 მატჩი და გაიტანა 15 გოლი. მის შემადგენლობაში ის მონაწილეობდა მსოფლიოსა და ევროპის ორ ჩემპიონატში, ოლიმპიურ თამაშებზე კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

## მერე რა, რომ ფეხმძიმედაა?

**ამერიკელი გლამურული მოდელი და ტელეწამყვანი კენდრა უილკონსონი, ახლა ორსულობის მეშვიდე თვეზე რომაა, პიკანტურ ფოტოსესიაში ბიკინით გადაიღეს ჟურნალისთვის in Touch.**

ამერიკული ფეხბურთის ვარსკვლავის ჰენკ ბასკეტის ცოლმა მხოლოდ თავისი დამრგვალებული მუცელი კი არ გამოაჩინა, არამედ ინტერვიუც მისცა ამერიკელ ჟურნალისტებს და იმაზე მოუყვა, თუ როგორ მიმდინარეობს მისი ფეხმძიმეობა. „ადრე პრაქტიკულად არ ვჭამდი ხორცს, ახლა კი პირდაპირ ჭკუას ვკარგავ საწებელიან ბივშტექსზე. ასევე დღეს ვერ გამოვტოვებ უშოკოლადოდ. ადრე კი მასზე უარს ვამბობდი, რადგან თავს მატკივებდა“.



კენდრამ ისიც აღიარა, რომ ორსულობა ცუდად მოქმედებს ცოლ-ქმრის სექსუალურ ცხოვრებაზე. მიუხედავად ამისა, სექსი მაინც მშვენიერიაო.

◎ აშკარა, დაუჯერებელი

# როსდა გვეღირსოს ჩვენ კალენდარი?



**კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი ან 31 ოქტომბერს დაიწყება, ან 7 ნოემბერსო, — განაცხადეს სპორტის ამ პოპულარული სახეობის ფედერაციის წარმომადგენლებმა.**

კი მაგრამ, ეს ორი სათაური რა უბედურებააო, იკითხავთ ალბათ. ახლავე მოგახსენებთ.

ტურნირი დღე-დღეზე უნდა დაიწყოს, მასში რამდენი გუნდი მიიღებს მონაწილეობას — რვა თუ ცხრა კი ჯერაც უცნობია. მართალია, განაცხადების წარდგენის ვადა გუშინწინ ამოიწურა, მაგრამ ხომ იცით, ჩვენში როგორაა საქმე — მთავარია რომელიმე კლუბმა თამაშის სურვილი გამოთქვას და შეჯიბრების ორგანიზატორები მაშინვე აუნთებენ მას მწვანე შუქს. აბა, დებულება ვის აინტერესებს.

ჰოდა, თუ რვა მსურველი შეგროვდა, შვიდთვიანი მარათონი სტარტს ღვინობისთვის მიწურულს აიღებს, ხოლო ცხრა მოხალისის შემთხვევაში ეს სიამოვნება ერთი კვირით გადაიწევს.

სამწუხარო ის გახლავთ, რომ მათ შორის არც ამჯერად იქნებიან ქუთაისელები. დავიჯეროთ, ამაგდარი მწვრთნელის ზაურ დოლაბერიძის გარდაცვალების შემდეგ რიონისპირა ქალაქში ტალანტების დაფრთიანებაზე აღარავინ ზრუნავს?

რაც შეეხება მომავალი ბატალიების კალენდარს, უკვე ნახსენები ორუცნობიანი განტოლების გამო იგი ბუნებაში ჯერაც არ არსებობს. ვიმედოვნებთ, მის გამოქვეყნებასაც მოვესწრებით.

◎ ფაქტი

# „მაკაბის“ ყურებს აახევენ



**ისრაელის უძლიერესი საკალათბურთო კლუბის „მაკაბის“ თანამფლობელის მონი ფანანის თვითმკვლელობის გარემოებათა გამოძიება შესაძლოა თელავიველთა ფინანსური კრახის მიზეზი გახდეს.** გამომძიებელთა აზრით, ფანანის თვითმკვლელობის მიზეზი უზარმაზარი ვალები გახდა, რომლებიც მან სხვადასხვა ფინანსური მაქინაციის შედეგად დაიდო. ვარაუდობენ, რომ ფანანის გარდა მაქინაციებში გარეული იყო კლუბის მრავალი მუშაკი, ასევე ისრაელის ლიგის მრავალი მოთამაშე და არბიტრი. სახელმწიფო საგადასახადო სამმართველომ უკვე ჩაატარა „მაკაბის“ ოფისის ჩხრეკვა, რის შედეგად მოხდა კონფისკაცია ხუთი ყუთი საბუთებისა და უამრავი კომპაქტ-დისკის. ისრაელის პრესის აზრით, მრავალი წლის მანძილზე უკანონო ოპერაციების მოცულობა ყოველწლიურად 30-40 მილიონ დოლარს შეადგენდა, თანაც ფულადი ნაკადები შვეიცარიული და აზიური ბანკების გავლით მიედინებოდა.

აგორებული სკანდალის გამო კომპანია „ელექტრამ“, რომელსაც „მაკაბისთან“ ორი მილიონის ღირებულების ხუთწლიანი სპონსორული კონტრაქტი ჰქონდა დადებული, განაცხადა მისი გაწყვეტის თაობაზე თავისი განზრახვის შესახებ. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ამით „ფანანის საქმის“ შედეგები თელავიველთათვის ნამდვილად არ ამოიწურება: იმ შემთხვევაში, თუკი მრავალრიცხოვანი ეჭვი გამართლდა, „მაკაბის“ მიმართ შესაძლოა უზარმაზარი საჯარიმო სანქციები გამოიტანონ.

◎ კადრი



**კონკურსი**

# „გალას“ ახალი გამარჯვებულები

**ლიტერატურული კონკურსის „გალას“ გამარჯვებულები გამოვლინდნენ. მათი გვარები ფილარმონიაში საზეიმო ცერემონიალზე გახმიანდა.** „გალას“ ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ – თამაზ ვასაძე, ივანე ამირხანაშვილი, უჩა შერაზადაშვილი, ბაჩა მალაზონია და ნინო ქაჯაია, გამომცემლობების მიერ საკონკურსოდ წარდგენილი 100 წიგნიდან 17 შეარჩია. 17 შერჩეული წიგნიდან გაიმარჯვეს: ნომინაციაში „სამაგიდო წიგნი“ – **მიგელ დე უნამუნო** – ესეები (ესპანურიდან თარგმნა **მერი ტიტვინიძემ**); ნომინაციაში „წლის წიგნი“ – **როსტომ ჩხეიძის „აგვისტოს შვილები“.**

ნომინაციაში „თარგმნილი წიგნი“ – **ლუი ფერდინანდ სელინი – „მოგზაურობა ღამის დასალიერში“** (ფრანგულიდან თარგმნა **სიბილა გელაძემ**).

ნომინაციაში „საბავშვო წიგნი“ – **ზაზა თვარაძის „მონებულსუ, ანუ ელის არაჩვეულებრივი თავგადასავალი“**; ნომინაციაში „წლის საუკეთესო ლიტერატურული პროექტი“ – **„ნობელის პრემიის ლაურეატები“** (პროექტის ხელმძღვანელი კახმევ კუდავაძ); ნომინაციაში „წიგნის მხატვრობა“ – ნატაშა ბაბუნაშვილი – **ფრენკ ბაუმის „ოზის ჯადოქარი“.**

„გალას“ ჟიურის წევრთა განცხადებით, კონკურსზე წინა წლებთან შედარებით, მეტი და საინტერესო წიგნი იყო წარმოდგენილი. შეფასების კრიტერიუმი კი ყოველ წელს ერთნაირია – მაღალი ხარისხის ლიტერატურა. წლევანდელ კონკურსში სიახლე იყო – ნომინაციაში „სამაგიდო წიგნი“ პირველად შევიდა თარგმნილი წიგნი.

ლიტერატურული კონკურსი „გალა“ თბილისის საკრებულოს ეგიდით წლეულს უკვე მესამედ გაიმართა. გამარჯვებულებმა „გალას“ სიმბოლო – კოლხური ცულის ასლთან ერთად 4 ათასლარიანი პრემიაც მიიღეს.

სასიხარულოა, რომ კონკურსი შესანიშნავი სტიმულია მწერლისთვის და წიგნის პოპულარიზაციასაც ემსახურება. უდავოდ ღირსეული გამარჯვებულებიც ჰყავს. მაგრამ მოკრძალებული შენიშვნაც მაქვს.

ნომინაციებში: „სამაგიდო წიგნი“ და „წლის წიგნი“ შერჩეულ 6 ნომინანტს შორის პოეტური კრებული არც ერთი არ არის. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩვენს პროზაულ დროში პოეზიას რატომღაც არ სწყალობენ, თორემ შეუძლებელია პოეზიის ქვეყანაში ერთი გემოვნებით გამოცემული კრებული მაინც არ მოიძებნოს.

ამის მიუხედავად, ვფიქრობ, კონკურსი „გალა“ თანდათან მეტ პოპულარობას მოიპოვებს.

**თამარ შაიშმელაშვილი**

**ბრმა თაყვანისცემა**

# ჰელოუინი — საშიში ზეიმი მოზარდებისთვის

**სამწუხაროდ, ბოლო წლებში საქართველოში დიდ მასშტაბს იძენს ჰელოუინის დღესასწაულის აღნიშვნა. უნდა ითქვას, რომ ამ ზეიმში მონაწილე ქართველი ახალგაზრდების უმრავლესობას წარმოდგენაც კი არ აქვს, რისი თანაზიარი ხდება. საკუთარი ტრადიციების დავიწყება და მისი ჩანაცვლება უცხოეთიდან შემოსული მოდად ქცეული დღესასწაულებით ვერაფერი საკადრისი საქციელია ორიათასწლოვანი ქრისტიანული კულტურის მქონე ერისთვის.**

ჰელოუინი (ინგლ. Halloweenძ – ძველი კელტების წარმართული ზეიმია. მისი წარმომავლობა ინგლისის, ირლანდიისა და ჩრდილოეთ საფრანგეთში (გალიაშიძ მცხოვრებ ხალხთა წარმართულ წარმოდგენებს უკავშირდება. ჰელოუინი 31 ოქტომბრიდან 1 ნოემბრის ღამეს აღინიშნება.

ევროპული წარმოშობის მიუხედავად, ეს დღე ფართოდ აღინიშნება აშშ-ში და მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში გავრცელდა ევროპაში.

ძველ კელტებს სწამდათ სიცოცხლის წარმოშობა სიკვდილისგან. 31 ოქტომბერს ისინი ახალ წელს აღნიშნავდნენ. მათი რწმენის შესაბამისად, 1 ნოემბერს იწყებოდა ჟამი სიცივისა, წყვდიადისა და სიკვდილისა.

ამ ღამეს ისინი განადიდებდნენ სიკვდილისა და ბნელეთის წარმართ ღვთაებას სამჰეინს (Samhainძ, რომელსაც თაყვანს სცემდნენ. კელტების ახალი წლის დამდეგს დრუიდები (კელტი ქურუმებიძ აქრობდნენ ყოველგვარ ცეცხლს – კერიაში, კოცონს, ფარნებს, ჩირაღდნებს და ასე წყვდიადში ხვდებოდნენ „დღესასწაულს“. მომდევნო დღის საღამოს დიდ კოცონს აჩაღებდნენ და სიკვდილისა და წყვდიადის მბრძანებლის, ბნელეთის ბოროტი სულისადმი მსხვერპლშეწირვას აღასრულებდნენ. დრუიდებს სწამდათ, რომ თუკი სამჰეინი მათი მსხვერპლშეწირვით კმაყოფილი დარჩებოდა, გარდაცვლილთა სულებს „ნებას დართავდა“ ამ დღეს თავიანთ სახლებში „ესტუმრათ“. ჰელოუინის წარმართულ დღესასწაულზე ჯადოქრებისა და ბოროტი სულების კოსტიუმებში გამოწყობილი ქუჩებში ხეტიალი – მიღმურ სამყაროსთან და ბილწ სულებთან ურთიერთობას განასახიერებს.

დღესასწაულის ძირითადი ატრიბუტია „ჯეკის ფარანი“ (ინგლ. Jack-0' Lanterძ, იგი გოგრისგანაა დამზადებული; აქვს ადამიანის თავის ფორმა, მასში ამოჭრილი თვალებითა და პირით, შიგნიდან განათებულია სანთლით. ეს სიმბოლო უკავშირდება უძველეს ირლანდიურ ლეგენდას ერთ მოხუც ფერმერ ჯეკზე, რომელიც აზარტული თამაშების მოყვარული ალკოჰოლიკი იყო. ლეგენდის თანახმად მან ორჯერ გააბრიყვა ეშმაკი, სიკვდილის შემდეგ კი ვერ მოხვდა ვერც სამოთხეში (თავისი მანკიერი ცხოვრების წესის გამოძ და ვერც ჯოჯოხეთში (რადგან ბოროტმა სულმა შეჰფიცა, რომ არ წაიყვანდა ჯოჯოხეთშიძ. ამიტომ მისი სული დახეტიალობს სამყაროში გოგრის თავით და მასში ბჟუტავი ნაკვერცხლით, რომელიც ჯეკმა გზის გასანათებლად ჯოჯოხეთიდან მოიპარა. სწორედ ამ ლეგენდის გამოა ჰელოუინის ძირითადი ატრიბუტიკის შეფერილობა ნარინჯისფერი და შავი.



ჰელოუინის კოსტიუმები ჯადოქრობის თემის შესაბამისად არის შექმნილი. ამ დღეს ბოროტი სულის კოსტიუმებში გამოწყობილი ბავშვები კარდაკარ დადიან და მოსახლეობისგან ტკბილეულს აგროვებენ; ვისაც შემოხვდებიან, შესძახებენ: (ინგლ. „trick-or-treating“ - ტკბილი ან გამასპინძლება!ძ. ვინც უარს ამბობს ნუგბარის გაცემაზე, მას რამე უსიამოვნო ოინს უწყობენ. ტკბილეულითა და ნუგბარით ამ რიტუალში მონაწილეთა გამასპინძლება ნიშნავს სამჰეინისთვის, ანუ თავად სატანისათვის ძღვენის მიტანას, ე.წ. ჯეკის ფარნის („Jack O'Lantern“ძ დანთება კი ბოროტ სულთა სახელზე დანთებული გაუკუღმართებული „კანდელია“.

ამგვარად, ჰელოუინში მონაწილეობა სხვა არაფერია, თუ არა წარმართობაში დაბრუნება და კერპთაყვანისმცემლობის აღიარება.

ადრექრისტიანული ეკლესიის მამებმა კელტების ამ წარმართული ტრადიციის საპირისპიროდ დაამთხვიეს ამ დღეს – ყოველთა წმინდანთა ხსენების დღესასწაულის აღნიშვნა. სიტყვა სიტყვით Halloween - ALL Hallows' Even (შემოკლებით „Hallow E'En“) ითარგმნება, როგორც ყოველთა წმინდანთა საღამო. სამწუხაროდ, უწიგნური ადამიანების მიერ წარმართული ზეიმი გაიგივდა ყოველთა წმინდანთა დღესასწაულთან, რომელიც ერთსა და იმავე დღეს აღინიშნებოდა და ამიტომ შეცდომით Halloween ეწოდა.

ეკლესია ცდილობდა წარმართული ტრადიციების აღმოფხვრას, რასაც მტრულად შეხვდნენ ანტიქრისტიანულად განწყობილი წარმართები. ამიტომ ამ დღეს ისინი განზრახ შეურაცხყოფდნენ ქრისტიანულ სიწმინდეებს: ქრისტიანული ეკლესიის მიერ წმინდანთა თაყვანისცემის წესის შეურაცხყოფისთვის ისინი ჩონჩხის კოსტიუმებში გამოწყობილი დახტოდნენ, იპარავდნენ ჯვრებს და სიწმინდეებს ეკლესიიდან, რათა ესეც დაცინვის და შეურაცხყოფის საგნად ექციათ ამ „დღესასწაულზე“.

ადრექრისტიანულ ეკლესიას იმედი ჰქონდა, რომ ყოველთა წმინდანთა ხსენების დღე – All Hallows Even თანდათანობით განდევნის წარმართულ დღესასწაულს, მაგრამ მოხდა პირიქით, წარმართული დღესასწაული შეერწყა ამ დღეს, მოგვიანებით კი სრულიად გამოდევნა თავისი შინაარსიდან წმინდანთა ხსენება და იქცა ჯადოქრების, მაგებისა და ჭინკების ზეიმად.

ეს ზეიმი ამერიკაში ირლანდიელებმა და შოტლანდიელებმა ჩაიტანეს. XX საუკუნის 20-იან წლებში იგი ფართოდ აღინიშნებოდა ნიუ-იორკსა და ლოს-ანჯელესში. ამ დღეს ზეიმში მონაწილეები ამსხვრევდნენ მინებს, სკამებს, ცეცხლს უკიდებდნენ ხეებს და ა. შ. ბიზნესმენებმა ამ ზეიმში შემოსავლის წყარო დაინახეს, შეიქმნა მთელი ინდუსტრია, რომელიც მილიონობით დოლარის ნაწარმს ჰელოუინის ატრიბუტებს უშვებს.

იმის მიუხედავად, რომ ეს ზეიმი აშშ-ში უკვე თითქმის საუკუნეა აღინიშნება და ძალიან პოპულარულია, იგი არ არის ოფიციალური და აშშ-ს სახელმწიფო მოხელეებმა მისი აღნიშვნა სკოლებში აკრძალეს.

ჰელოუინის ნეოწარმართულ დღესასწაულთან დაკავშირებით უარყოფითი პოზიცია მრავალჯერ გამოხატეს როგორც კათოლიკური, ისე მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლებმა. რამდენიმე წლის წინათ მსგავსი პოზიცია გამოხატა საქართველოს საპატრიარქომაც.

ჰელოუინის აღნიშვნასთან დაკავშირებით იდენტური, უარყოფითი პოზიცია აქვს პრაქტიკულად ყველა რელიგიურ კონფესიას.

**მოამზადა**
**ნატა ნიბლაძემ**

**ხსოვნა**

# შოთა გოგოხია



კიდევ ერთმა ღირსეულმა პიროვნებამ დატოვა წუთისოფელი და ზეციურ სასუფეველში გადაინაცვლა, კიდევ ერთი თვალსაჩინო მოღვაწე გამოაკლდა აფხაზეთიდან დევნილ ინტელიგენციას – გარდაიცვალა საქვეყნოდ ცნობილი ექიმი-გერონტოლოგი, ჯანმრთელობის დაცვის დიდი ორგანიზატორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა გოგოხია.

შოთა გოგოხიას სახელი ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა გასული საუკუნის 40-იანი წლების მიწურულიდან, როდესაც მან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პოსტი დაიკავა. ამ თანამდებობაზე ბატონმა შოთამ თითქმის მეოთხედი საუკუნე იღვაწა. დღესაც კი ლეგენდები დადის შ. გოგოხიას მინისტრობაზე, მის პროფესიონალიზმზე, დიდ ადამიანობაზე. არანაკლებ ნაყოფიერი იყო შ. გოგოხიას მოღვაწეობა სოხუმის კურორტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე. პარალელურად, ის ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას; გახდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საერთაშორისო მასშტაბის გერონტოლოგი, რომლის მოხსენებები და გამოსვლები გერონტოლოგიის პრობლემებზე მუდამ ექცეოდა ყურადღების ცენტრში სხვადასხვა საკავშირო თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესებზე და სიმპოზიუმებზე. ის თვითონაც იყო არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის ინიციატორი და ორგანიზატორი. შოთა გოგოხიას მაღალი მეცნიერული ავტორიტეტის აღიარება იყო მისი არჩევა ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად, ნატურალური მედიცინის საერთაშორისო ასოციაციის საპატიო წევრად.

სულ ერთი წელიღა დააკლდა ბატონ შოთას 90 წლამდე. მიუხედავად ასეთი ჭარმაგი ასაკისა, ის ბოლომდე შესაშური ენერგიით აგრძელებდა აქტიურ სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მისი თაოსნობით აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიამ, რომლის პრეზიდენტიც იყო 2006 წლიდან გარდაცვალებამდე, არაერთი საინტერესო ღონისძიება ჩაატარა.

შოთა გოგოხია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი მეგობარი და ქომაგი იყო. მას ყოველთვის შესტკიოდა გული დევნილ უნივერსიტეტზე, ახარებდა მისი წარმატებები.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურა, სტუდენტობა მოწიწებით პატივს მიაგებენ გამოჩენილი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, შესანიშნავი მოქალაქის, პროფესორ შოთა გოგოხიას ნათელ ხსოვნას.

**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

---

**საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი**
**შოთა გოგოხია**
**და თანაუგრძნობს მის ოჯახს.**

---

**ბალნეოლოგიური კურორტი – საქართველოს კურორტოლოგიის ფიზიოთერაპიის, რეაბილიტაციის და სამკურნალო ტურიზმის ს/პ ცენტრი, საქართველოს კურორტების აღდგენისა და განვითარების ასოციაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვის ყოფილი მინისტრი, აფხაზეთიდან დევნილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი**
**შოთა გოგოხია**
**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**
**ნათელა ოკუჯავა**
**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან კოლეგის**
**ბარბარე მთვარაძის**
**გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.**

**ინფორმაცია**

## ურემი რომ გადაბრუნდა...

**დიღომში მომხდარი უბედური შემთხვევის შემდეგ თბილისის მერია დედაქალაქის მასშტაბით სათამაშო მოედნების შემოწმებას იწყებს.**

თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის მამუკა ქაცარავას განცხადებით, შეიკრიბებიან სპეციალისტები და უსაფრთხოების დაცვის მიზნით ყველა სტადიონი შემოწმდება.

შეგახსენებთ, რომ ორშაბათს დიღომში სტადიონის კარის ჩამოვარდნის შედეგად 9 წლის გიორგი ქინქლაძე დაიღუპა.

## პატარა გოგონა მეოთხე სართულიდან გადმოვარდა

**ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე 4 წლის ბავშვი მეოთხე სართულის ფანჯრიდან გადმოვარდა. თვითმხილველთა განცხადებით, ბავშვი ჯერ თოკებზე დაეცა და შემდეგ ასფალტზე ჩამოვარდა.** ბავშვი გადარჩა, თუმცა ამ დროისთვის მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

ბავშვი ქალა-ტვინის ტრავმით ჟვანიას სახელობის ბავშვთა კლინიკაში მიიყვანეს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## რასაცა გასცემ, შენია...

# გადავარჩინოთ ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე!



ლევან თოთაძე თავის პატარა მარიამთან ერთად

გამოჩენილ მეცნიერს, თვალსაჩინო ქართველ დემოგრაფს, პროფესორ ანზორ თოთაძეს, ვაჟიშვილი (ლევანი, 38 წლისა) გაუხდა მძიმე ავად — დაუდგინდა აპლასტიური ანემია და სასწრაფოდ გადაიყვანეს სამკურნალოდ საზღვარგარეთ. ავადმყოფი ამჟამად იერუსალიმის საავადმყოფოში მკურნალობს. საბედნიეროდ, დაავადება მკურნალობას ემორჩილება, მაგრამ იგი, სულ მცირე, სამ თვეს გრძელდება და 150 ათას ევრომდე ჯდება. ოჯახი იძულებულია, გაყიდოს საცხოვრებელი ბინა, მაგრამ ეს თანხაც არ არის საკმარისი. ერთადერთი იმედად საზოგადოების დახმარება რჩება.

გთხოვთ, დაეხმაროთ გაჭირვებაში ჩავარდნილ ჩვენს ღირსეულ მეცნიერსა და მოქალაქეს, რომელიც წლების განმავლობაში უანგარო სამსახურს უწევდა და უწევს თავის ქვეყანას.

თანამოქალაქეებს, ბიზნესმენებს, ფირმებსა და კომპანიებს შეუძლიათ, რასაკვირველია, შეძლებისდაგვარად, დახმარების თანხა გადარიცხონ ეროვნულ ვალუტაში (ლარებში) შემდეგი საბანკო რეკვიზიტების მიხედვით:

**მიმღების ბანკი:**

სააქციო საზოგადოება საქართველოს ბანკი,

ცენტრალური ფილიალი (კოდი) 220 101 502.

მიმღების დასახელება: თოთაძე ანზორ

მიმღების ანგარიშის ნომერი: 136 380 200.

უცხოელმა მოქალაქეებმა უნდა გადარიცხონ:

Intermediary Bank
Citibank N.A. New York, USA
SWIFT: CITIU33

Account with Institution
Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22
3, Pushkin Street, 0205 Tbilisi, Georgia

Beneficiaru: Totadze Anzor
Account: 136 380 200.

## ინფორმაცია

# დამოუკიდებლობის აღიარება იარაღის სანაცვლოდ

**დღეს მოსკოვში ეკვადორის პრეზიდენტი რაფაელ კორეა ჩავა. მისი ვიზიტის მთავარი მიზანი მოლაპარაკებების წარმოებაა, რომელიც რუსული შეიარაღების ეკვადორისათვის მიწოდებას გულისხმობს. მოსკოვში ვარაუდობენ, რომ ამის სანაცვლოდ რაფაელ კორეასგან მოისმენენ განცხადებას აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ.**

მიუხედავად იმისა, რომ რაფაელ კორეა მოსკოვში დღეს ჩავა რუსეთის პრეზიდენტთან დიმიტრი მედვედევთან, იგი მოლაპარაკებებს ხვალ გამართავს. კრემლის პრესსამსახური აღნიშნავს, რომ ეკვადორის პრეზიდენტი რუსეთში დიმიტრი მედვედევის მიწვევით ჩადის.

თავად რაფაელ კორეამ კი თავისი მოსკოვური ვიზიტის მიზნებზე განცხადება ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ გააკეთა. „ჩვენთავის აუცილებელია ჩვენი არმიის ძლიერების აღდგენა“,— განაცხადა კორეამ და დასძინა, რომ სწორედ ამას ელის იგი თავისი მოსკოვური ვიზიტისაგან, სადაც თავის თავდაცვის მინისტრთან ხავიერ პონსესთან ერთად მიემგზავრება.

მისი სურვილი არმიის თავდაცვისუნარიანობის აღდგენის შესახებ გასაგებია და გამოწვეულია მეზობელი კოლუმბიის გადაწყვეტილებით, რომელთანაც ეკვადორმა დიპლომატიური ურთიერთობები 2008 წლის მარტში გაწყვიტა, იმის გამო, რომ კოლუმბიამ მიიღო გადაწყვეტილება თავის სამხედრო ბაზებზე ამერიკელი სამხედროების შეშვების შესახებ.

— ამის სანაცვლოდ კი მოსკოში ეკვადორის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების გადაწყვეტილებას ელიან, — წერს გაზეთი „ვედომოსტი“ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში არსებულ წყაროზე დაყრდნობით და დასძენს, რომ „მოსკოვს მისცეს პიროგა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ ეკვადორის ოფიციალური გადაწყვეტილება გახმოვანებული იქნება ეკვადორის პრეზიდენტის მოსკოვში ვიზიტის დროს“.

ჯი-ემ-ენ

## კადრი



## დღის კალენდარი

28 ოქტომბერი

**21-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. ოთხშაბათი.**

ხსენება ღირსი ექვთიმე ახლისა, თესალონიკელისა (889წ; ღირსი მოწამე ლუკიანესი — ანტიოქელ ხუცისა (312წ; მოწამე სარვილესი და ბებეასი (IIწ; წმიდა საბიანესი — კატანელ ეპისკოპოსისა (760წ.

### დაიბადნენ:

1720 — **ანტონ I (ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი),** საქართველოს კათოლიკოსი, მწერალი, მეცნიერი. გარდაიცვალა 1788 წელს.

1848 — **დავით სარაჯიშვილი,** მეწარმე, ქართული კონიაკის წარმოების ფუძემდებელი, ქველმოქმედი. გარდაიცვალა 1911 წელს.

1880 — **გრიგოლ რობაქიძე,** გამოჩენილი მწერალი. გარდაიცვალა 1962 წელს.

1904 — **ბერცელ ბააზოვი,** მწერალი. გარდაიცვალა1938 წელს.

1923 — **მარჩელო მასტროიანი,** იტალიელი კინომსახიობი.

1967 — **ჯულია რობერთსი,** ამერიკელი კინომსახიობი.

### მოვლენები:

**1492 წელი** — ქრისტეფორ კოლუმბის ექსპედიციამ კუნძული კუბა აღმოაჩინა.

**1636 წელი** — დაარსდა ჰარვარდის უნივერსიტეტი.

**1919 წელი** — აშშ კონგრესმა მიიღო „მშრალი კანონი“.

**1943 წელი** — სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით შორეულ აღმოსავლეთში გადაასახლეს ყალმუხები (140.000წ, თათრები (200.000წ, ჩეჩნები (400.000წ, ინგუშები (100.000წ, ყარაჩაელები (80.000წ, ბალყარები (40.000წ.

**1965 წელი** — რომის პაპმა პავლე VI-მ ებრაელებს მოუხსნა კოლექტიური ბრალდება ქრისტეს ჯვარცმისათვის.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ჩეხეთი** — რესპუბლიკის დღე.

**საბერძნეთი** — ეროვნული დღესასწაული.

მედიანიუსი

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6775 ლარი |
| 1 ევრო | – 2.5052 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7333 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.7145 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.3451 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.0890 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1048 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1510 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4573 ლარი |



რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.

„საქართველოს რესპუბლიკაში“

99-62-77; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

— მეცნიერებს ჩასახვის ახალი ხერხი გამოუგონიათ.

— რაო, ძველი რით არ მოგვწონსო?

* * *

ქალი აღშფოთებულია:

— ვიღაცამ ჩემზე ხმა გაავრცელა, ანგარებით გათხოვდაო, მე კი ისიც არ ვიცი, სულ რამდენი მილიონი აქვს ჩემს ქმარს.

* * *

— გოგონი, რატომ ხარ თეთრებში გამოწყობილი?

— ვნებდები...

* * *

— თქვენ გყავთ ღარიბი ნათესავები?

— არ ვიცი.

— მდიდრები?

— იმათ ჩემს შესახებ არ იციან არაფერი.

* * *

სასწრაფოდ შევიძენ ქალის ენიდან ქართულ ენაზე ჯიბის მთარგმნელს.

* * *



ახლახან პრეზიდენტმა გახსნა ახალი ბავშვთა საავადმყოფო და იქ პირველი ოპერაციაც გააკეთა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.